

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

№35

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

კულტურის საერთაშორისო ფესტივალი
„ევროპალია საქართველო“ ბელგიაში

ანსამბლი „მარტვე“ 45 წლისაა

თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების
ფოლკლორული ფესტივალი

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
მარა როზენტალე

ერთი რეგიონული ანსამბლი
ფოლკლორული ანსამბლი „ვახტანგური“
ოზურგეთიდან

ქართული სიმღერა ფინეთში (ნაწილი I)

ქართული სიმღერის მოამაგეები
ვარლამ სიმონიშვილი

ანსამბლ „ნანინას“ ლატვიური ისტორია

ანსამბლ „დიდგორთან“ ერთად
„ამღერებული მუზეუმი“

უცხოური მრავალხმიანობა
ძველი სტილის სერბული სეკუნდური
მრავალხმიანობა

ერთი სიმღერის ისტორია
„ვიცბილ-მაცბილ“

სიმღერა „ვიცბილ-მაცბილ“

თბილისი. დეკემბერი. 2023

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივნისი-დეკემბერი, 2023)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები, მასტერკლასები

20.05-30.07.2023 – რესტორანმა „წისქვილმა“ „ქართული კუთხეების ფესტივალს“ უმასპინძლა, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო იმერეთის, სამეგრელოს, სვანეთის, რაჭის, გურიის, აჭარისა და კახეთის ტრადიციული კერძები, ღვინო, ფოლკლორული სიმღერები და ცეკვები, ჩატარდა დეგუსტაცია, მასტერკლასები, ქართული პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს რეგიონულმა და თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

30.05-7.06.2023 – თბილისში ლექსო თორაძის სახელობის „თორაძის საერთაშორისო ფესტივალი“ ჩატარდა, რომელშიც ფოლკლორული კოლექტივებიდან ანსამბლმა „ბასიანმა“ მიიღო მონაწილეობა.

10.06.2023 – ლეჩხუმში, სოფელ ტვიში გაიმართა „ლეჩხუმური ღვინის ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „სახიობამ“, „იალონმა“, „მარგალიტმა“ და „საგალობელმა“.

12.06.2023 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში გაიმართა მანანა ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“.

20-30.07.2023 – თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ გაიმართა არტ-გენის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა და რეგიონულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა: „სახიობამ“, „დიდგორმა“, „იალონმა“, „მუსიკელმა“, „მასპინძელმა“, „ქსოვრელებმა“, „გორდელამ“, „ელესამ“, „უსახელოურმა“, „ბერიკაცმა“, „ჰოროლმა“, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა; ლელა თათარაიძემ და ანსამბლმა „კესანემ“.

17-28.07.2023 – ანაკლიაში სალოტბარო სკოლების ტრადიციული ფესტივალი „მომავლის ხმები“ ჩატარდა.

29.07-20.08.2023 – საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ლევილის ისტორიულ მამულში, ქართველი ემგრანტებისა და მათი შთამომავლებისთვის ქართული ხელოვნებისა და კულტუ-

რისადმი მიძღვნილი ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა და რეგიონულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

18-22.09.2023 – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, თბილისსა და ახალციხეში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „საქართველო“ ჩატარდა, რომელშიც დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, ფინეთის და იტალიის ქართული ხალხური სიმღერის შემსულებელ გუნდებთან ერთად თბილისურმა ანსამბლებმაც მიიღეს მონაწილეობა. კონცერტებთან ერთად გაიმართა სიმღერის რამდენიმე მასტერკლასი.

4.10.2023-02.2024 – ბელგიის სამეფოს პატრონაჟითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ბელგიაში გაიმართა კულტურის საერთაშორისო ფესტივალი „ევროპალია საქართველო“, რომელშიც მიწვეულები იყვნენ ფოლკლორული ანსამბლები „ბასიანი“, „დიდგორი“, „ადილეი“, „ჩამგელიანების საოჯახო ანსამბლი“ და სოლო შემსრულებლები: ნინო ნაყეური და თინა (ნარგილე) მეჭთიევა.

9.10.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ ჩაატარა იავნანების მასტერკლასი „Bread for the world“-ის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში – „ფსიქოსოციალური მიდგომების პრეზენტაცია და გაცვლა“.

10-11.10.2023 – საჩხერის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა გამართა სრულიად საქართველოს VII კონკურს-ფესტივალი „ქართული საგალობლები“.

20-23.10.2023 – ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVIII საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.

9.11.2023 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების პირველი ფოლკლორული ფესტივალის დახურვა და მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონიალი.

10.11.2023 – რუსთაველის თეატრში „თბილისის ბაროკოს ფესტივალის“ ფარგლებში გამართულ, ქართული გალობის და სარიტუალო სიმღერების კონცერტში „დიდებათა“ მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „სახიობამ“.

19.11.2023 – ბათუმში ცნობილი ლოტბარის, მუსიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერების პირველი ფესტივალი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აჭარის მუნიციპალიტეტების ფოლკლორულმა ჯგუფებმა და ანსამბლმა „იალონმა“.

10.12.2023 – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების მეორე ფოლკლორული ფესტივალი.

ლექციები, პრეზენტაციები, პროექტები,

კონცერტები, საღამოები, იუბილეები

1-3.06.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ლენტეხმა საჩხერისა და გორის სალოტბარო სკოლებისა და ალვანის „ფოლკლორის სახლის“ ბავშვებს უმასპინძლა.

22.06.2023 – გიორგი ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ გაიმართა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ წარმოდგენა „მხოლოდ ქართული“.

9.07-23.10.2023 – ანსამბლმა „დიდგორმა“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში განახორციელა პროექტი „ამღერებული მუზეუმი“, რომლის ფარგლებში ფოლკლორული კონცერტები და ხალხური სიმღერის მასტერკლასები ჩატარა.

10.07.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში გაიმართა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა საანგარიშო კონცერტი.

11.07.2023 – ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტურმა გუნდმა ჩაატარა საანგარიშო კონცერტი.

15.07.2023 – ანსამბლმა „ბასიანმა“ ახალი ვებ-აღზომის პრეზენტაცია გამართა.

11.08.2023 – Erasmus+ პროექტის „იუნესკოს კულტურული სივრცეების ქსელისა“ და ევროკავშირის პროგრამის „კულტურა ამომრავებს ევროპას“ ფარგლებში ლატვიის ქალაქ ალსუნგას წმ. მიქაელის ეკლესიაში გაიმართა ფოლკლორული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „დიდგორმა“.

9.10.2023 – ქალაქ ბელგრადში ეთნომუსიკოლოგმა თამაზ გაბისონიამ ჩაატარა ლექცია ქართული ტრა-

დიციული მუსიკის შემსრულებლობის თემაზე და მასტერკლასი სერბი ეთნომუსიკოლოგი სტუდენტებისთვის.

15.10.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში, პროექტის – „ამუღური ტრადიციები და საქართველოს აზერბაიჯანელთა ფოლკლორული ცხოვრება“ – ფარგლებში გაიმართა საქართველოს აზერბაიჯანელთა ტრადიციული მუსიკის საღამო „საზს გეფიცები“.

25.10.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში გაიმართა გურგენ გურჩიანის წიგნის „სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნომუსიკალურ ასპექტში“ პრეზენტაცია და ანსამბლ „შგარი-დას“ კონცერტი.

2.11.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ ჩაატარა სოლო კონცერტი პოლიტიკური სწავლების სკოლაში.

5.12.2023 – რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა მესტიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რიჰოს“ სამი უხუცესი წევრის – მურად ფირცხელანის, რუსლან სტეფლიანის და გულვერ გერლიანის საიუბილეო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა და რეგიონულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

7.12.2023 – ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტურმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო თამაზ გაბისონიას მიერ შედგენილი ახალი სანოტო კრებულის, „100 კოკროჭინა“, პრეზენტაციაში, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის ფოეში ჩატარდა.

8.12.2023 – ლაზ ეთნოფორს, ლილი აბდულიშს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ „წლის საუკეთესო ხელოვანის“ სტატუსი მიანიჭა.

14.12.2023 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში გაიმართა ტრადიციული საშობაო ღონისძიება, რომელზეც უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შესრულდა „ალილოს“ მრავალფეროვანი ნიმუშები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

14.12.2023 – კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია მაღხაზ ერქვანიძის წიგნისა „ქართული ტრადიციული მუსიკის სოლფეჯო-ჰარმონიის სახელმძღვანელო“.

15.12.2023 – თბილისში, თავისუფლების მოედანზე გაიმართა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიანიჭებისადმი მიძღვნილი

კონცერტი „საქართველოს გზა ევროპისაკენ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

18.12.2023 – ანსამბლმა „ბასიანმა“ გამართა საშობაო სოლო კონცერტი თბილისში, ათონელის ქუჩაზე.

23.12.2023 – ანსამბლმა „იალონმა“ გამართა კონცერტი „ფოლკლორული შეხვედრა საშობაოდ“ სოფელ მატანის კულტურის სახლში.

24.12.2023 – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში ანსამბლ „მარგალიტის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

28.12.2023 – კონსერვატორიის მცირე დარბაზში ოთარ ჩიჯავაძის მიერ ჩაწერილი ქართული ტრადიციული მუსიკის საექსპედიციო ფონოგრაფიების გამოცემის „აფხაზეთი-1970. ოჩამჩირისა და გალის რაიონები“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „ადილეიმ“.

გასტროლები

13-20.06.2023 – ანსამბლი „იალონი“ იმყოფებოდა ფინეთში, სადაც ჩაატარა კონფერენცია ფინეთში *Christian Liturgical music in contemporary Georgia* და ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასი.

22-25.06.2023 – ანსამბლი „ადილეი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა იტალიაში.

8-13.09.2023 – ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი „ნანინა“ იმყოფებოდა ლატვიაში, სადაც ლატვიის კულტურის აკადემიის ანსამბლ „საუცეიასთან“ ერთად ოთხ ქალაქში – იეკაბპილსში, ლუზნავაში, დაუგავპილსში და რიგაში – ერთობლივი კონცერტები და ლექცია-მასტერკლასები ჩაატარა.

6-11.10.2023 – ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი 10 წევრის შემადგენლობით იმყოფებოდა გასტროლზე სერბეთში, სადაც ჩაატარა კონცერტები და მასტერკლასები.

4-5.11.2023 – ანსამბლი „ადილეი“ იმყოფებოდა ბელგიაში, სადაც ქალაქებში ვინკსელსა და ჩინში ჩაატარა სოლო კონცერტები და ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასი.

ექსპედიციები

ეთნომუსიკოლოგმა გიორგი კრავეიშვილმა ჩაატარა:

14-24.07.2023 – კომპლექსური ექსპედიცია ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და დაღესტანში (ხელმძღვანელი, კავკასიოლოგი ცირა ბარამიძე).

28.07-29.08.2023 – ექსპედიცია მუჰაჯირ ლაზებთან, მუჰაჯირ კლარჯებთან და მუჰაჯირ აფხაზებთან –


ქორეოლოგ ხათუნა დამჩიძესა და თამაზ კრავეიშვილთან ერთად.

20-21.10 და 2.11.2023 – ექსპედიცია ხოფის რაიონის სოფელ სარფში.


3-5.12.2023 – ექსპედიცია ხოფის რაიონის სოფლებში – სარფსა და მაკრიალში.

გამოცემები

გამოიცა თამაზ გაბისონიას მიერ შედგენილი სანოტო კრებული „100 კოკროჩინა. ადვილი და საშუალო სირთულის ქართული ხალხური სიმღერები“.




საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრობის სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიცა სანოტო კრებული „ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკა“



ანსამბლმა „ბასიანმა“ ახალი ვებ-ალბომი გამოსცა



საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის
სასწავლო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერით
გამოიცა ქართული საეკლესიო გალობა. IX ტომი.
(შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი:
მალხაზ ერქვანიძე)



ანსამბლმა „შავნაზადა“ გამოსცა შობის
საგალობლების სასწავლო აუდიოალბომი




თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა
ქართული ტრადიციული მუსიკის საექსპედიციო
ფონოგრაფიკული ჩანაწერები: „ოთარ ჩიჯავაძე. აფხაზეთი-1970.
ოჩამჩირისა და გალის რაიონები“



საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით
გამოიცა მალხაზ ერქვანიძის წიგნი:
„ქართული ტრადიციული მუსიკის სოლფეჯო-
ჰარმონიის სახელმძღვანელო“



ანსამბლმა დიდგორმა გამოსცა მეგრულ-აფხაზური
სიმღერების აუდიოალბომი „ჰარირა-ჰარირა“.



ფილმები

2023 წლის 30 ოქტომბერი გადაცემათა ციკლი „ჩვე-
ნებური ევროპა“ –

სარფი

<https://www.youtube.com/watch?v=zEqVh7CHNHk>

ანაკლია

<https://www.youtube.com/watch?v=MoGPmlKEsg4&t=1273s>

მოამზადა მაკა ხარბიანმა

ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ევროპალია საქართველო“ ბელგიაში

2023 წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით ბელგიამ უმასპინძლა კულტურის საერთაშორისო ფესტივალს „ევროპალია“. ფესტივალი ორ წელიწადში ერთხელ იმართება და მოიცავს კულტურულ და შემოქმედებით ღონისძიებებს, მულტიდისციპლინურ და მულტინაციონალურ პროექტებს, რომლებიც სტუმარი ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციულ და თანამედროვე ხელოვნებას წარმოაჩენს. საქართველო, სტუმარი ქვეყნის სტატუსით, ფესტივალში წელს პირველად მონაწილეობდა. შესაბამისად, წლევედელი ფესტივალი სახელდება, როგორც „ევროპალია საქართველო“ (Europalia Georgia). აღნიშნული მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტოა ბოლო პერიოდში გამართულ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებს შორის. „ევროპალია საქართველო“ ბელგიის სამეფოს პატრონაჟითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით ჩატარდა.



„ევროპალია საქართველოს“ აფიშა

ფესტივალის ფარგლებში ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში მასშტაბური და მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები გაიმართა. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ქართულ ტრადიციულ თუ თანამედროვე ხელოვნებას, მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას.

ფესტივალზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ქართულ ტრადიციულ ხელოვნებას – ფოლკლორს. მრავლად გაიმართა ტრადიციული მუსიკის კონცერტები და განხორციელდა საინტერესო პრო-

ექტები. ბელგიის რამდენიმე ქალაქში, ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგნენ ფოლკლორული კოლექტივები: ანსამბლები „ბასიანი“, „დიდგორი“, „ადილე“, „ჩამგელიანების საოჯახო ანსამბლი“, სოლო შემსრულებელი ნინო ნაყური; ასევე, აზერბაიჯანული წარმოშობის ქართველი ხელოვანი, აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის შემსრულებელი თინათინ (ნარგილე) მეჰთიევა – ერთადერთი აშული ქალბატონი საქართველოში.



ანსამბლ „ბასიანის“ აფიშა ევროპალიაზე


„ევროპალია საქართველო“-ს საზეიმო გახსნა 2023 წლის 4 ოქტომბერს, ბრიუსელის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზ Bozar-ში შედგა. ცერემონიალის საკონცერტო ნაწილს 30-35 წუთი დაეთმო, სადაც ანსამბლმა „ბასიანმა“ შესრულა ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის რჩეული ნიმუშები. ფესტივალის ოფიციალურ გახსნას ბელგიის მეფე და დედოფალი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრნენ.

საზეიმო გახსნის ღონისძიების გარდა, „ბასიანმა“ კონცერტები სხვა გამორჩეულ დარბაზებშიც გამართა (ქალაქებში: ანტვერპენი, მონსი, ნამიური, ლიეჟი). აღსანიშნავია ქალაქ მონსის Arsonic Theatre-ში გამართული ბასიანისა და დეზ ჩამგელიანების ერთობლივი კონცერტი, რომელმაც მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ხოლო ანტვერპენის De Singel თეატრში მეგი რუსტამოვას ფილმის ჩვენება და ბასიანის კონცერტი ერთი საღამოს ფარგლებში მოეწყო.

გარდა ამისა, ანსამბლმა „ბასიანმა“ ერთობლივი კონცერტები სახელმწიფო კამერულ გუნდთან (სამების კათედრალის გუნდი) და გორის ქალთა გუნდთან ერთად ბელგიასა და ჰოლანდიაშიც (Concertgebouw Bruges, Bozar Brussels, Amare Haag) გამა-

რთა, ხოლო 27 ოქტომბერს აღნიშნულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ბრიუსელში ქართული გამოფენის ოფიციალური გახსნის ღონისძიებაში.

ანსამბლმა „დიდგორმა“, ორგანიზაცია Jeunes Musicales ინიციატივითა და ორგანიზებით, შთამბეჭდავი პროექტი განახორციელა ვალონიის საჯარო სკოლებში, სადაც მათ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს ქართული ფოლკლორი გააცნეს. აღნიშნულ მასტერკლას-კონცერტებს ფრანგი მუსიკოსი, ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი შემსრულებელი, ზოე პერე უძღვებოდა. პროექტის კვალდაკვალ, „დიდგორმა“ სოლო კონცერტები ბელგიის რამდენიმე ქალაქშიც (ბრიუსელი, ნამიური, ლიეჟი, დინანტი) წარმატებით გამართა. აღსანიშნავია ბრიუსელის ერთ-ერთი კონცერტი, სადაც „დიდგორთან“ ერთად „დებმა ჩამგელიანებმა“ და ზოე პერემ რამდენიმე სიმღერა ერთობლივად შეასრულეს.



ანსამბლ „ადილეის“ აფიშა ევროპალიაზე

1 და 2 ნოემბერს ევროპის მრავალ ქვეყანაში აღინიშნება „ყველა წმინდანის“ (All Saints' Day) და „ყველა სულის“ (All Souls' Day) დღეები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ დღეებში იგონებს გარდაცვლილ ახლობლებს და ყვავილებით რთავს მათ საფლავებს. ამ ტრადიციის შთაგონებით შეიქმნა წარმოდგენა – ქართული და ევროპული სამგლოვიარო სიმღერების დიალოგი – „რიტუალი: სიმღერები ჩვენი გარდაცვლილი ახლობლებისთვის“, რომელიც გაიმართა ქალაქების – ოსტენდისა და ლუვენის სასაფლაოებზე. მასში მონაწილეობდნენ: ანსამბლი „ადილეი“, ნინო ნაყური, მუსიკოლოგი და შემსრულებელი ნანა მჭავანაძე, ბელგიელი სოპრანო ლორე

ბინონი და ადგილობრივი ქართული ანსამბლი „მეზობლები“.



ფესტივალს ერთი-ერთი კონცერტის აფიშა

პროექტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, Bozar-ის საგამოფენო სივრცეში ნინო ნაყურისა და ფრანგი ორღანისტის და კომპოზიტორის, Alexis Paul-ის ქართულ-ფრანგული კოლაბორაცია შედგა, მოგვიანებით კი, იმავე სივრცეში, სოლო კონცერტი ანსამბლმა „ადილეიმ“ გამართა.

კონცერტების პარალელურად, ბელგიისა და ჰოლანდიის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მასტერკლასები და ლექცია-პრეზენტაციები ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ეთნომუსიკოლოგი ნანა მჭავანაძე უძღვებოდა.

„ევროპალიის“ ფარგლებში გამართულმა, ქართული საშემსრულებლო ჯგუფების კონცერტებმა სრული ანშლაგით ჩაიარა, რამაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა ევროპული საზოგადოება ქართული ტრადიციული მუსიკის უნიკალურობაში.

ზურაბ წკრიალაშვილი
ანსამბლ „ბასიანის“ დირექტორი

ანსამბლი „მართვე“ 45 წლისაა

„სიმღერა ერის სულიერი სარკეა. ეს არის ხმოვანი ქრონიკა, რომელშიც აღბეჭდილია ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული პროცესი. ისე არაფერი ინახავს მამაპაპურ ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა. სიმღერა მარადიულია, როცა იგი თაობებს მიჰყვება, ხოლო კვდება, თუ მას ახალგაზრდობა ივიწყებს. თუ გინდა ხალხური სიმღერა შეინახო, იგი ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარაობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება. ამით ძველი ტრადიციებიც გადარჩება“.

ანზორ ერქომაიშვილის ამ სიტყვების სულისკვეთებითაა გამსჭვალული ანსამბლ „მართვეს“ 45 წლიანი ისტორია, რომელიც აქტიურად გრძელდება, ქართველ ბავშვებსა და მოზარდებს ტრადიციული მუსიკის სიყვარულს უწერგავს და მისი მსოფლიოსთვის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს. მართვეში აღზრდილი თაობები, თავის მხრივ, მომავალ თაობებს გადასცემენ ქართულ მრავალხმიან სიმღერას, რომელიც ჩვენი წინაპრებისგან თაობიდან თაობას უწყვეტად გადაეცემოდა.

ქართული ხალხური სიმღერის განვითარებას ოჯახური მუსიკირების მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ შეუწყო ხელი. მართვეში სწორედ ასეთი მომღერალი ოჯახების წევრები ერთიანდებოდნენ, რამაც ხალხური სიმღერის გავრცელების პროცესს დიდად შეუწო ხელი.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ტრადიციული მუსიკა მხოლოდ რეგიონული ანსამბლების მიერ სრულდებოდა, დედაქალაქში ხალხური სიმღერა და საკრავებზე დაკვრა პოპულარული არ იყო, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მოზარდებში, რაც ამ ტრადიციას დაკარგვის საფრთხეს უქმნიდა. სწორედ ამ მიზეზით, 1978 წელს, თბილისის ბავშვთა მხატვრული აღზრდის ცენტრის დირექტორმა, ნათელა ჯილაურმა და ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, ანზორ ერქომაიშვილმა, გადაწყვიტეს, ჩამოეყალიბებინათ ბიჭუნათა გუნდი, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერებს შესრულებდა. დაიწყო სკოლებში ნიჭიერი ბავშვების შერჩევა; ტელევიზიითაც გამოცხადდა კონკურსი. პირველ ეტაპზე 30-მდე ბიჭუნა შეგროვდა. მათი ასაკი 8-დან 12 წლამდე იყო.

1978 წლის იანვარში „არტოს ბაღის“ საკონცერტო დარბაზში შედგა პირველი შეკრება, შემდეგ კი დაიწყო რეპეტიციები. მიუხედავად კარგი მუსიკალური მონაცემებისა, ბავშვებს არ გააჩნდათ მრავალხმიანი სიმღერების ათვისების ელემენტარული ჩვევები. იმისათვის, რომ დაუფლებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, მათ ავარჯიშებდნენ ამ კუთხისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ ბრუნვებზე. ასეთმა მეთოდმა დახვეწა ბავშვების სმენა, შეაჩვია ისინი სხვადასხვა კუთხის სიმღერათა ინტონაციურ სპეციფიკას, შესრულების მანერას. ცოტა ხანში კი გამოიკვეთნენ ამ კუთხეების სიმღერებისთვის შესაფერისი სოლისტიებიც.



ანსამბლი „მართვე“. 1978 წელი

მრავალი რეპეტიციის შემდეგ, როცა ბავშვების სმენა სამხმიან ჟღერადობას მიეჩვია, დაიწყო სიმღერების შესწავლა. პირველი სიმღერა გახლდათ „წინწყარო“, რომლის სოლოს ბადრი ყარალაშვილი ასრულებდა. რეპერტუარი ნელ-ნელა ფართოვდებოდა სხვადასხვა კუთხის სიმღერებით. რეპეტიციის დროს ბავშვები ეცნობოდნენ სიმღერის ისტორიას, მის ჟანრს, შინაარსსა და ხასიათს, ისმენდნენ საუკეთესო შემსრულებლების ჩანაწერებს, რაც მათ დიდ ინტერესს იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები თბილისში იყვნენ დაბადებულნი და გაზრდილნი, თავიანთი წინაპრების კუთხის სიმღერებს უფრო ხასიათში მღეროდნენ. როგორც ჩანს, აქ გენეტიკამ იჩინა თავი. ამიტომ სოლოებს, ძირითადად, იმ კუთხის მომღერლები ასრულებდნენ, რომელი კუთხისაც იყო სიმღერა.

პრობლემა გაჩნდა გურული სიმღერების შესწავლისას: არ ჩანდა „კრიმანჭულის“ შემსრულებელი. როგორც გაირკვა, ცნობილი მომღერლის, რამინ

მიქაბერიძის პატარა გოგონა, მაია, კარგად მღეროდა გურულ „კრიმანჭულს“. მაია მიქაბერიძე „მართვეს“ ისტორიაში ერთადერთი გოგონა-სოლისტი გახდა, ხოლო ბატონი რამინი ანსამბლის ლოტბარად მიიწვიეს. რამდენიმე წლის განმავლობაში მისმა მუშაობამ დიდად განაპირობა „მართვეს“ შემდგომი წარმატება.

1978 წლის დასაწყისში ანსამბლმა უკვე 30-მდე სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერა იცოდა. ამავე წლის 9 მაისს შედგა ბიჭუნათა ანსამბლის პირველი საკონცერტო ნათლობა ტელევიზიით. კონცერტის წინ ტელემაყურებელს ანსამბლი წარუდგინა პოეტმა, აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. გადაცემის ბოლოს წამყვანმა მაყურებელს მიმართა, ბიჭუნათა ანსამბლისათვის შეერჩიათ სახელი. საქართველოს ტელევიზიის მუსიკალურმა რედაქციამ მრავალი წერილი მიიღო. დავით შაქარიშვილი საგარეჯოდან იწერებოდა: ანსამბლს უნდა დაერქვას „მართვე“, ვინაიდან ისინი დიდი მომღერალი არჩევების ბარცეები – მართვეები არიანო. ბიჭუნათა ანსამბლს „მართვე“ დაერქვა. ანსამბლის პირველ გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელს საქართველოში. სულ მალე „მართვე“ ძალიან პოპულარული გახდა. ანსამბლი მონაწილეობდა თითქმის ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც საქართველოში ტარდებოდა, ასევე რადიო და ტელე გადაცემებში, მართავდა საინტერესო კონცერტებსა და შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამის შემდგომ დაიწყო „მართვეს“ წარმატებული საგასტროლო მოგზაურობა უცხოეთში. ვარშავაში „მართვეს“ წარმატებული გამოსვლის შემდეგ, მაშინდელი კულტურის მინისტრის, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, ოთარ თაქთაქიშვილის ინიციატივით, თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლაში, „მართვესის“ გაიხსნა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება. ამ სკოლამ დიდი საქმე გააკეთა. „მართვეს“ პატარა მომღერლები თავად დირიჟორობდნენ, რაც საოცარ ეფექტს ახდენდა მაყურებელზე, განსაკუთრებით უცხოელებზე. უცხოეთის პრესა ერთხმად აღნიშნავდა პატარა დირიჟორობის მაღალ ოსტატობას. 28-ე სამუსიკო სკოლაში შეიქმნა „მართვეს“ განყოფი, ანსამბლი „ბიჭები“.

უდაოდ შთამბეჭდავია ანსამბლ „მართვეს“ საგასტროლო მოგზაურობის რუკა 1979 წლიდან დღემდე: სომხეთი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, რუსეთი, ლიეტუვა, პოლონეთი, ბულგარეთი, იტა-

ლია, გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი, შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი, იაპონია, ტაილანდი, აშშ... ამჟამად „მართვე“ საბერძნეთში საგასტროლოდ ემზადება. დაარსებიდან 45 წლის მანძილზე, ანსამბლმა გამართა 3000-ზე მეტი კონცერტი, ხოლო ფირფიტებისა და კომპაქტდისკების სახით გამოსცა 100-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა...

1996 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ „მართვეს“ და მის დამაარსებელს – ანზორ ერქომაიშვილს სახელმწიფო პრემია მიანიჭა საქართველოსა და უცხოეთში ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის; 2011 წელს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა „მართვეს“ სახელობის ვარსკვლავი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ დღეს საქართველოში მრავლად არსებობენ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები, ეს „მართვეს“ უდიდესი დამსახურებაა.

სხვადასხვა დროს „მართვეს“ ლოტბარები იყვნენ: ანზორ ერქომაიშვილი (ანსამბლის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი); რამინ მიქაბერიძე, კოტე მშვიდლობაძე და „მართვეში“ აღზრდილი, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული, ანსამბლის სხვადასხვა თაობის წევრები. 1995 წლიდან „მართვეს“ ხელმძღვანელობს ანსამბლის პირველი თაობის წარმომადგენელი ვარლამ ქუტიძე, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ანსამბლის ტრადიციები.

2022 წლის აპრილში გამოიცა საქართველოს მთავრობის დადგენილება სსიპ – ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ დაფუძნების შესახებ. ანსამბლის სსიპ-ად ჩამოყალიბების ინიციატორი და ხელის შემწყობი გახლდათ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრობის სამინისტრო და მინისტრი, თეა წულუკიანი.

ანსამბლ „მართვეს“ მხარდამჭერია ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის ცენტრი. საგანგებო მადლობა ეკუთვნის მის დირექტორს, გიორგი დონაძეს, ანსამბლის განსაკუთრებული თანადგომისთვის.

2022 წელს ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნა „მართ-

ვეს“ სკოლის აღზრდილი, ანსამბლ „ბიჭების“ ყოფილი წევრი, სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალი, მუსიკოსი, დირიჟორი მიხეილ ჯავახიშვილი.



ანსამბლ „მართვეს“ თანამედროვე შემადგენლობა

ამჟამად „მართვეს“ აღსაზრდელები სხვადასხვა მიმართულებით იძენენ ცოდნას: სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერას, გალობას, ქართულ ცეკვას, ქართულ ხალხურ საკრავებზე შესრულებას, თეატრალურ ხელოვნებას. გაიხსნა გიტარის შემსწავლელი ჯგუფები; ჩამოყალიბდა ხალხური სიმღერის შემსრულებელ გოგონათა გუნდი. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გაძლიერდა მუსიკალური საგნების (ფოლკლორი, ელ. თეორია – სოლფეჯიო, ფორტეპიანო, დირიჟორობა) სწავლება. „მართვეში“ დღეს 500-ზე მეტი მოსწავლეა, რაც ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციების შენარჩუნების უდავო გარანტია.

„მართვეს“ 45 წლის იუბილე, რომელიც მას 2023 წელს შეუსრულდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული ღონისძიებებით აღინიშნა.

„მართვეს“ ხელმძღვანელობა უღრმეს მადლობას უხდის და ქედს იხრის ყველა იმ ადამიანის ღვაწლის წინაშე, ვინც ჩამოაყალიბა და ხელი შეუწყო ანსამბლის განვითარებასა და წარმატებულ მოღვაწეობას, ასევე მათ, ვინც დღესაც აგრძელებს „მართვეში“ მოღვაწეობას.

მიხეილ ჯავახიშვილი

ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი

თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორული ფესტივალი

საბედნიეროდ, თბილისში ძალიან მომრავლდა ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდები, რომლებიც ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებენ. ამ ფერხულში უამრავი ბავშვია ჩაბმული. თითოეული გუნდის ჩამოყალიბების ისტორია სხვადასხვაა. ზოგმა ტაძართან არსებული სამრევლო სკოლიდან დაიწყო, ზოგი ძველი, მომღერალი თაობის მოწაფეებმა შექმნეს, ბევრი თბილისის კერძო თუ საჯარო სკოლების ბაზაზე ჩამოყალიბდა... არის შემთხვევები, როცა ერთ სკოლაში რამდენიმე გუნდი ფუნქციონირებს. საგანგებოდაა აღსანიშნავი სალოტბარო სკოლებიდან წამოსული ახალგაზრდა ლოტბარების მიერ შექმნილი ახალ-ახალი პატარა ანსამბლები თუ დიდი გუნდები, რომლებიც ცდილობენ, საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ ფოლკლორულ სივრცეში.



ფესტივალის აფიშა

ყოველივე ამის გათვალისწინებით, „თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორული ფესტივალი“ მეტად დროული და საჭირო წამოწყებაა, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ფოლკლორის სიყვარულით გაერთიანებული, უკვე არსებული ახალგაზრდული კოლექტივების წარმოჩენას, მეორე მხრივ კი, ახალგაზრდა თაობების მეტ დაინტერესებას ქართული ტრადიციული მუსიკით.

ფესტივალის დაარსების ისტორია ასეთია: ერთ-ერთი საქმიანი შეხვედრის დროს, თბილისის საკრებულოს წევრმა, კახა ლაბუჩიძემ გამოთქვა სურვილი, მხარდაჭერა გამოეხატა თბილისში არსებული იმ ფოლკლორული გუნდებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სახელმწიფო დაფინანსება. მან ეს აზრი გაუზიარა შეხვედრაზე მყოფ დავით ცი-

ნცამესა და მაია მიქაბერიძეს, რის შემდეგაც გადაწყდა, მათი ორგანიზატორობით დანერგილიყო თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ყოველწლიური ფესტივალი. ამ სასიხარულო წამოწყებას მხარი დაუჭირა თბილისის მერიამაც და 2022 წლის 6 ნოემბერს, ქარვასლის ტერიტორიაზე, პირველი ფესტივალი გაიმართა. მასში მონაწილეობდა ათი გუნდი: „მძლევალი“, „ერქვანი“, „ამერ-იმერი“, „ალილო“, „ბინული“, „კირიალესა“, „ფერხისა“, „ჩოხოსნები“, „საგალობელი“ და „შავნაბადა“. პირველი ფესტივალისთვის არ ჩატარებულა შესარჩევი ეტაპი, რადგან ფესტივალის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ამ გუნდებს აქვთ დიდი ხნის ისტორია და ამ პატივს იმსახურებენ.



ფესტივალის ფინალური „მრავალჟამიერი“

ამიერიდან „თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფოლკლორულ ფესტივალში“ მონაწილეობა შეუძლია თბილისში არსებულ ყველა გუნდს, ვინც ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს. შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შემდეგ, ორგანიზატორების მიერ შეირჩევა ათი მონაწილე კოლექტივი. გუნდს, რომელიც ვერ მოხვდება ათულში, აუცილებლად მიეცემა საშუალება, მონაწილეობა მიიღოს მომავალი წლის ფესტივალზე.

ფესტივალში მონაწილეობისათვის შერჩეული გუნდების უკეთ გაცნობის მიზნით, მათ შესახებ კეთდება გაცნობითი ხასიათის ვიდეორგოლები, სადაც ნაჩვენებია მათ მიერ განვლილი გზა და შემოქმედებითი მიღწევები. ფესტივალის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, ფესტივალის, საკრებულოსა და მერიის ერთობლივ სოციალურ პლატფორმაზე იტვირთება ეს ვიდეორგოლები გუნდებისა და ლო-

ტბარების ფოტოებთან და ბიოგრაფიებთან ერთად, გახსნის კონცერტზე კი ყოველი ანსამბლის გამოცვლას მასზე შექმნილი ვიდეორგოლი უძღვის წინ. ფესტივალის ფინალი მოიცავს გუნდების დაჯილდოებას, რაც კვლავ კონცერტით სრულდება.

უაღრესად შთამბეჭდავი და ამაღლებელი იყო პირველი ფესტივალის დახურვა კონსერვატორიის დიდ დარბაზში 2023 წლის 9 ნოემბერს, სადაც დამაგვირგვინებელ ნომრად ათივე მონაწილე გუნდმა ერთად შეასრულა „მრავალჟამიერი“ და მაშინვე გადაწყდა, რომ ასეთი გაერთიანებული საფინალო ნომერი ტრადიციად ქცეულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალს არ აქვს საკონკურსო ფორმატი, მას ჰყავს ჟიური, რომლის წევრები გამოთქვამენ მოსაზრებებს ყველა გუნდის გამოსვლის შემდეგ. 2022 წლის ფესტივალის ჟიურის წევრები გახლდათ: დავით ევგენიძე, თეონა ცირამუა და ნანა ვალიშვილი, წამყვანი – გია ბალაშვილი.

„თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების მეორე ფოლკლორულ ფესტივალში“, რომელიც 2023 წლის 10 დეკემბერს გაიხსნა, კვლავ ათმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ესენი იყვნენ: „ერქვანი“, „იაკამი“, „იბერია“, „მეექვსე საავტორო სკოლა“, „მარულა“, „მეიდანის“, „სომეხ მედუდუკეთა ანსამბლი“, „რეზო შანიძის სტუდია“, „ფშავრობი“ და „შოდა“. მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, რომლებიც თბილისის ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებთან ერთად, კონცერტზე წარმოდგენილი იყო სომხური და აზერბაიჯანული ფოლკლორული ნიმუშებიც.

პირველი ფესტივალისგან განსხვავებით, სადაც ჟიური მხოლოდ ანსამბლების სიტყვიერი შეფასებით შემოიფარგლა, მეორე ფესტივალზე თითოეული ანსამბლის საკონცერტო ნომრის შესრულების შემდეგ ჟიურის მიერ ჩაიწერა შეფასებები, რაც მოგვიანებით, რეკომენდაციის ფორმით, წერილობით გაეგზავნათ გუნდების ლობარებს საკონტაქტო მეილებზე. ფესტივალის დახურვამდე, რომელიც რამდენიმე თვეში იგეგმება, მათ უნდა გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები და, ამასთან, განსხვავებული რეპერტუარით წარდგენენ დახურვაზე, სადაც გადაეცემათ დიპლომები, ფულადი პრიზები და პრიზები სამახსოვრო წარწერით. ბო-

ლოს კი ყველა გუნდი კვლავ ერთობლივი „მრავალ-
ჟამიერით“ დახურავს ფესტივალს.

მეორე ფესტივალის ჟიურიში გახლდნენ: გო-
რის ქალთა გუნდის ხელმძღვანელი თეონა ცირა-
მუა, ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი დავით შა-
ნიძე და ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი გივი
ჭიჭინაძე. წამყვანი გახლდათ დავით ცინცაძე. კონ-
ცერტს ესწრებოდნენ თბილისის მერიისა და საკ-
რებულოს წარმომადგენლები.



შემსრულებელთათვის დაწესებული პრიზები

სამომავლოდ, იგეგმება ურთიერთთანამ-
შორმლობის მემორანდუმის გაფორმება „თბილისის
ბავშვთა და ახალგაზრდული გუნდების ფესტივა-
ლისა“ და ჩეხეთის ბავშვთა ფესტივალების ორგანი-
ზატორებს შორის, რომლის ფარგლებშიც თბილი-
სური ანსამბლები ჩეხეთის ფესტივალში მიიღებენ
მონაწილეობას.

„თბილისის ბავშვთა და ახალგაზრდული გუ-
ნდების ფესტივალის“ მიზანია, წახალისოს გუნ-
დები, როგორც ფულადი ჯილდოთი, ისე საპატიო
სიგელებითა და პრიზებით; ასევე, გააცნოს მსმე-
ნელს შედარებით ჩრდილში მყოფი გუნდები და
გაამყაროს მეგობრული თუ პროფესიული ურთიერ-
ობები მათ შორის.

ანანო ხიჯაკაძე
ფესტივალის მთავარი პროდუსერი

**უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
„იუნესკოს მიერ აღიარებული
ღირებულებების ქსელი“
პროგრამა Erasmus+, რომელმაც
საქართველოსთან დამაკავშირა**



პროექტის კოორდინატორი
მარა როზენტალე

მე ვარ ლატვიის დასავლეთ ნაწილში, ბალტი-
ის ზღვის მახლობლად მდებარე, განსაკუთრებული
ადგილიდან – ალსუნგადან, რომელიც ლატვიაში
განთქმულია სუიტის ტრადიციული კულტურით.
აქ, ისტორიული მოვლენების შედეგად, მე-17 სა-
უკუნიდან ადგილობრივმა თემმა, როგორც ლუთე-
რანული კურხემეს რეგიონით გარშემორტყმულმა,
ერთგვარად სოციალურად იზოლირებულმა კუნ-
ძულმა, შეინარჩუნა კათოლიკური სარწმუნოება.

ამ იზოლაციამ, წინაქრისტიანული ტრადი-
ციებისა და რელიგიური რიტუალების სინთეზთან
ერთად, სუიტის თემში შექმნა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის იმდენად უნიკალუ-
რი ნაზავი, რომ 2009 წლიდან სუიტის კულტურუ-
ლი სივრცე თავისი მრავალი ელემენტით (ტრადი-
ციული მუსიკა და ცეკვა, ხელნაკეთობები, სამზა-
რეულო, დიალექტი და ა.შ.) შეტანილია იუნესკოს
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის
(აქმ) სიაში, რომელიც ასევე მოიცავს ქართულ მრავალ-

ვალხმან სიმღერასა და მეღვინეობის უძველეს ტრადიციებს.

საერთაშორისო აქტივობების განხორციელების იდეა თანდათან ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც ვმუშაობდი ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, ასევე, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომლებიც მიზნად ისახავენ სუიტის კულტურის შენარჩუნებას და პოპულარიზაციას. ესტონეთის სეტუსა და კიჰნუს თემებთან თანამშრომლობის პირველმა პროექტებმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დღევანდელ გლობალურ ეპოქაში, თანამოაზრე თემებთან და უცხოელ პრაქტიკოსებთან მიზანმიმართულ თანამშრომლობაში უფრო მეტი დადებითია, ვიდრე უარყოფითი (თუ ასეთი საერთოდ არსებობს). ამას აქვს მთელი რიგი უპირატესობებისა, როგორცაა, მაგალითად, პრაქტიკის, მიდგომებისა და მეთოდების გაზიარება. თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს აღნიშნულ თემებში სიამყის განცდის ჩანერგვასა და საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობასთან თვითიდენტიფიკაციას, რაც ამ მემკვიდრეობის არსებობის საფუძველს წარმოადგენს.



**Erasmus+ პროგრამის ერთ-ერთი
ღონისძიების შემდეგ**

იუნესკოს აკმ-ის სიაში შეტანილი ფასეულობების გაცნობამ, შთამაგონა ერაზმუს+ პროგრამის უფრო ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის პროე-

ქტის განხორციელება – ქვეპროგრამაში, რომელიც უშუალოდ გამოცდილების გაცვლის აქტივობებზეა ორიენტირებული. ამ სიაში აღმოჩნდა თანამშრომლობის სამი პარტნიორი, მათ შორის, ასოციაცია საქართველოდან – ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი, და ესტონელი პარტნიორი კუნძულ კიჰნუდან – წინა თანამშრომლობიდან. პროექტის ლატვიელი პარტნიორი იყო ფონდი „სუიტის ეთნიკური კულტურის ცენტრი“. კიდევ ერთი პარტნიორი ჩრდილოეთ მაკედონიიდან იყო. ამგვარად, 2018 წლიდან 2020 წლამდე პროექტი „იუნესკოს მიერ აღიარებული ღირებულებების ქსელი“, ჯამური ბიუჯეტით 107 714 ევრო, წარმატებით განხორციელდა ბევრი ასოცირებული პარტნიორის მხარდაჭერით. მათ შორის იყვნენ ასოცირებული პარტნიორები საქართველოში: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, მრავალხმობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი და სხვ. აკმ-ის სფეროში მონაწილე ორგანიზაციებსა და ქვეყნებს შორის, მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის მიზნით, მოეწყო პერსონალის ოთხი მოკლევადიანი ერთობლივი ტრენინგი ყველა პარტნიორ ქვეყანაში და დაიდო რამდენიმე შედეგი. საბედნიეროდ, პროექტის დასრულება მოესწრო 2020 წლის თებერვალში – Covid19-ის პანდემიამდე.

ყველა პარტნიორი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყო ქსელის გაფართოებით – ამდენად, რამდენიმე პარტნიორის დამატებით კუნძულ სარდინიიდან, პორტუგალიიდან, ხორვატიიდან და ესტონეთიდან. 2020 წლიდან 2023 წლამდე, განხორციელდა მსგავსი შინაარსის Erasmus+ პროგრამის თანამშრომლობის მეორე პარტნიორული პროექტი „იუნესკოს კულტურული სივრცის ქსელი“, საერთო ბიუჯეტით 250 472 ევრო.

ჩემმა პირადმა ჩართულობამ და გუდასტვირის დაკვრის მიმართ ინტერესმა ბიძგი მისცა ამ კონკრეტულ სფეროში თანამშრომლობის იდეას. პროექტმა მხარდაჭერა მოიპოვა და 2022 წლიდან ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია – სუიტის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი – პარტნიორებ-

თან ერთად ხორვატიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, სლოვაკეთიდან და საქართველოდან (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი) ახორციელებს ერასმუს+ პროგრამის თანამშრომლობის პროექტს „ევროპელ მეგუდასტირეთა ქსელი“, საერთო ბიუჯეტით 120 000 ევრო, რომელიც მოიცავს მეთოდებისა და მიდგომების გაცვლას, პრაქტიკოსებისთვის სასწავლო მასალების შექმნას და ა.შ.




სუიტის ერთ-ერთი ფოლკლორული ანსამბლი ბათუმის ფესტივალზე

მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტებამდე არასდროს ვყოფილვარ საქართველოში, ძალიან გამიხარდა მისი ჩართულობა, რადგან მქონდა განცდა, რომ ამ ქვეყანას განსაკუთრებული კულტურული მემკვიდრეობა უნდა ჰქონოდა. ვინაიდან საქართველო არ იყო ევროკავშირის წევრი ან კანდიდატი ქვეყანა, მისი მონაწილეობა ამ ტიპის პროექტებში კონკრეტულად უნდა ყოფილიყო გამართლებული – მისი ავთენტური კულტურული მემკვიდრეობითა და დღემდე ცოცხალი ტრადიციებით.

ჩემმა ინტუიციამ არ გამაწბილა – პროექტის პარტნიორებმა მართლაც ბევრი განსაკუთრებული რამ იპოვეს საქართველოში, ძალიან ავთენტური და თანამედროვე კულტურისგან შეურყვნელი. პირადად მე ეს ქვეყანა შემეყვარა პირველი სტუმრობისთანავე. ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების საერთო ისტორიას, რომელმაც თავისი

კვალი დატოვა, როგორც კულტურულ მემკვიდრეობაში, ასევე ხალხში.



მარა როზენტალე მეგუდასტირის ამპლუაში

2019 წლის შემოდგომაზე საქართველოში პირველად ჩამოსვლის დღიდან, აქ რეგულარულად ვბრუნდები – რამდენჯერმე ჩამოვიყვანე სუიტის ფოლკლორულ ანსამბლები ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროის მანძილზე ვარდისფერი სათვალეები მოვიხსენით და ნამდვილი ცხოვრება დავინახეთ, რამაც კიდევ უფრო გაგვიძლიერა ჭეშმარიტი სიყვარული და საქართველოს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის გაზიარების სურვილი სხვა ქვეყნებისთვის, რომლებსაც მისგან ბევრი რამის მიღება და სწავლა შეუძლიათ. ამ გზით, შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ თავდაჯერებულობისა და სიამაყის ამაღლებას გულწრფელ ქართველ ხალხში, წინაპრებისგან შემონახული კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით. უკვე გვაქვს საქართველოსთან შემდგომი თანამშრომლობის კონკრეტული გეგმა ტრადიციული რეწვის, მუსიკისა და ახალგაზრდებთან მუშაობის სფეროებში.

გულწრფელად მიხარია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რადგან ვხედავ რამდენიმე კონკრეტულ კულტურულ პროგრამას, რომელშიც ქართული ორგანიზაციები შეძლებენ მონაწილეობას.

დიდი მადლობა ჩემს ყველა ქართველ მეგობარს და თანამშრომლობაში პარტნიორს მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის!

ინფორმაცია სუიტის კულტურული სივრცის შესახებ ხელმისაწვდომია იუნესკოს აკმ -ის ვებ გვერდზე:

<https://ich.unesco.org/en/USL/suiti-cultural-space-00314>

დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ „იუნესკოს აღიარებული ფასეულობების ქსელი“ იხილეთ:

<https://suiti.lv/erasmus-projekts-unesco-network/>

დამატებითი ინფორმაცია პროექტის „იუნესკოს კულტურული სივრცის ქსელის“ შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: <https://suiti.lv/unesco-kulturtelpu-tikls/>

ხოლო დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ „ევროპის მეგუდასტვირეთა ქსელი“ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <https://suitunovads.lv/erasmus-program-cooperation-partnerships-in-adult-education-project-the-network-of-european-bagpipers-contract-nr-2022-1-lv01-ka220-adu-000087403/>

მარა როზენტალე

*პროექტის კოორდინატორი/ზორდის თავმჯდომარე
სუიტის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი*

ერთი რეგიონული ანსამბლი

ანსამბლი „ვახტანგური“ ოზურგეთიდან

გურულებისთვის სიმღერა დღემდე ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამას მოწმობს გურული სასიმღერო ანსამბლების სიმრავლე ამ კუთხის ყველა მუნიციპალიტეტში. ამ მხრივ, გამოწვევის არც ოზურგეთის მუნიციპალიტეტია, სადაც მრავალ ანსამბლს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „ვახტანგური“. გთავაზობთ ინტერვიუს ანსამბლის ხელმძღვანელთან, ლოტბარ მამია რუსიძესთან.

მ.გ. – ბატონო მამია, როდის შეიქმნა ანსამბლი „ვახტანგური“ და ვინ იყო მისი ხელმძღვანელი.

მ.რ. – ანსამბლი „ვახტანგური“ შეიქმნა 2005 წელს. ერისკაცობაში სოსო ნაკაიძის, საეკლესიო წოდებით, მეუფე იოსების დიდი მონდომებითა და ხელმძღვანელობით. ლოტბარი გახლდათ ტრისტან სიხარულიძე – გურულ სიმღერებს ის გვასწავლიდა, (მე მაშინ ანსამბლის წევრი ვიყავი), ხოლო სადილინო და მეგრულ სიმღერებს – რეზული მჭავანაძე. წე-

ვრები ვიყავით: მამა იოსები, ტრისტან სიხარულიძე, გური სიხარულიძე, რეზული მჭავანაძე, მერაბ კალანდაძე, მამია რუსიძე, ლაშა რუსიძე, გელა ლომჯარია, ლევან ნინიძე და რეზო მახარაძე.

მ.გ. – ვინ შეურჩია ანსამბლს სახელი და რატომ „ვახტანგური“?

მ.რ. – ანსამბლს „ვახტანგური“ მეუფე იოსებმა დაარქვა. ვახტანგური სამეფო ნადიმის დროს შესასრულებელი სადარბაზო სიმღერაა – ტრიოსა და გუნდის შესრულებით. ჩვენს ანსამბლში ერთ-ერთი ხშირად შესრულებული სიმღერაა.

მ.გ. – თქვენ რომელი წლიდან მოხვედით ანსამბლის ხელმძღვანელად?

მ.რ. – ტრისტან სიხარულიძის ანსამბლიდან წასვლის შემდეგ, მე შემომთავაზეს ანსამბლის ხელმძღვანელობა. ეს იყო 2012 წელი.

მ.გ. – როგორ მიგიღეს ანსამბლის წევრებმა როგორც ხელმძღვანელი?

მ.რ. – ჩემი ხელმძღვანელობა ანსამბლის წევრთა სურვილით მოხდა. მხოლოდ მე თვითონ ვიუხერხულე, როდესაც რეპეტიციაზე გური სიხარულიძე – ეს უდიდესი მომღერალი, წევრთა შორის მჯდომი დავინახე. თავად იყო ძალიან თავმდაბალი კაცი: – ნუ უხერხულობ ბიძიკო, აქ მირჩევნია... თუ რამე მექნება სათქმელი, არ მოგერიდები და გეტყვიო.



ანსამბლის ხელმძღვანელი მამია რუსიძე

მ.გ. – როგორც ვიცი, ანსამბლი ახალი წევრებით შეივსო. ვინ შემოგემატათ?

მ.რ. – ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ გური სიხარულიძე, მე და ჩემი შვილი – ლაშა რუსიძე დავრჩით. დაგვემატნენ: გელა და გია შოვნაძეები, ლაშა გოგოტიშვილი, გელა თავდუმაძე, ზერო დობორ-

ჯგინიძე, გოგა მახარაძე, ავთო ჭელიძე, გელა ცეცხლაძე, ზაზა სიმონიშვილი, პაატა მჭავანაძე და გიორგი ჭანუყვაძე. მოგვიანებით შემოგვემატნენ გიორგი აკობიძე, დავით ქავჯარაძე და ნინო მახარაძე.

მ.გ. – ნინო მახარაძეზე მინდა გკითხოთ: როგორ მოხდა ვაჟთა ანსამბლში მისი შემოერთება?

მ.რ. – ნინო ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლე იყო, მე რომ გავიცანი. ჩემთან ჩონგურის შესასწავლად მოვიდა. ჩონგურთან ერთად იმ პერიოდში კრიმანჭულის კლასიც მქონდა ჩაბარებული. ნინოსაც მოვასინჯე და შესანიშნავად გამოუვიდა. ჯერ ერთ-ერთ კონცერტზე მოვსინჯეთ მისი შემოერთება, მერე კი ანსამბლშიც უყოყმანოდ ავიყვანე.

მ.გ. – რეპერტუარზე რას გვეტყვი?

მ.რ. – რეპერტუარის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, გურულ სიმღერებს უჭირავს: „ვახტანგური“, „ფერად შინდი“, „შვიდკაცა“, „იარამაშა“, „იერიში“, „ორირა“, „გურული ფერხული“, „გურული მგზავრული“, „ბურთის გამარჯვება“, ნადური „შემოქმედურა“ და მრავალი სხვა. ვმღერით ასევე იმერულ, აჭარულ, კახურ, მეგრულ და სვანურ სიმღერებსაც. ერთ-ერთი პირველი სიმღერა, რომელიც ანსამბლში დავიწყეთ, იყო „ბურთის გამარჯვება“, შემდეგ დავხვეწეთ სიმღერა „ვახტანგური“. გვაქვს საგალობლებიც: „მერცხალო მშვენიერო“, გურული და კახური „შენ ხარ ვენახი“, „ჯვარსა შენსა“, „დღეს საღვთო მან მადლმან“ და „წმიდაო ღმერთო“.

მ.გ. – თუ ეძებთ და აღადგენთ ძველ სიმღერებსა და საკრავებს?

მ.რ. – მუდმივ ძიებაში ვართ, ვეძებთ ძველ სიმღერებს და ახალ სიცოცხლეს ვჩუქნით ანსამბლში. მაგალითად, გავიხსენეთ და აღვადგინეთ „ზარზმის ალილო“; ზოგიერთი სიმღერა ძველებურ საკრავ სოინარის თანხლებით გვაქვს გაკეთებული.

მ.გ. – გურულ მომღერალთა რომელი სასიმღერო სტილი მოგწონთ?

მ.რ. – უდიდეს პატივს ვცემ ერქომაიშვილებს. ლადიმე ბერძენიშვილის ბანს რომ ვისმენ, სითბო ჩამედვრება ხოლმე გულში, თუმცა, თუკი რამე ვიცი, ვარლამ სიმონიშვილისეული ვარიანტებია. მე თავად გიორგი სალუქვაძის მოსწავლე ვიყავი. გიორგი გვასწავლიდა სიმონიშვილისეულად და მეც მის გზას დავადექი.

მ.გ. – ნამღერში იმპროვიზაციებს თუ აკეთებთ?

მ.რ. – კი, კი, მიყვარს სიახლეები, დაშტამპული ვარიანტები არ მომწონს. „გურულ ფერხულში“, მაგა-

ლითად, ბოლოში კრიმანჭული დავამატე და 4 ხმაში ავაჟღერე, ზოგიერთ სიმღერაში კრიმანჭულის 4 მუხლს მე-5 დავამატე და ა.შ.

მ.გ. – ახალ რეპერტუარზე მუშაობთ?

მ.რ. – ამჟამად გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი რეპერტუარი ქალაქური და სხვა კუთხის სიმღერებით გავამდიდროთ, უკვე დავიწყეთ მუშაობა და ვფიქრობთ, რომ მსმენელს მოეწონება.



ანსამბლი „ვახტანგური“

მ.გ. – გასვლითი კონცერტები თუ გქონიათ?

მ.რ. – ქვეყნის ფარგლებს გარეთ არა, მაგრამ გვექონდა კონცერტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მიგვიღია მონაწილეობა რამდენიმე ფესტივალშიც.

მ.გ. – თუ გიცდიათ სიმღერების ყოფაში გაცოცხლება?

მ.რ. – ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში „რა ყოფილა გურია“, რომლის ფარგლებში, სოფელ გორაბერეჟოულში, ერთ-ერთ მოსახლეს გავუთოხნეთ ყანა და ნადური ვიმღერეთ. მეზობლებს გული დასწყდათ: რომ გვცოდნოდა ყანას გათოხნიდნენ, ჩვენც დავთანხმდებოდით ჩვენს ყანაში გადაღებაზე.

მ.გ. – თქვენი სამომავლო გეგმები?

მ.რ. – გვინდა ჩვენი სიმღერების ჩაწერა და აუდიოალბომის გამოცემა; ასევე – რეპერტუარის გამდიდრება ახალი სიმღერებით და სოლო კონცერტის გამართვა.

მ.გ. – ბატონო მამია, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. მინდა წარმატება და შემოქმედებითი წინსვლა გისურვოთ თქვენ და თქვენს ანსამბლს.

ინტერვიუ ჩაიწერა ეთნომუსიკოლოგმა
მამია გელაშვილმა

ქართული სიმღერა ფინეთში ნაწილი I

უკანასკნელ წლებში ფინეთში საგრძნობლად გაიზარდა ქართული სიმღერის ცნობადობა. ამჟამად ფინეთში ქართული სიმღერის სულ მცირე, სამი ანსამბლია, ესენია: „ძველი პეპელა“, „საქანელა“ და „ტევრი“. ქართული მრავალხმიანობის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

მართალია, ქართული სიმღერის პირველი ანსამბლი 2012 წელს შეიქმნა, მაგრამ მანამდე არსებობდა ანსამბლები, რომლებსაც რეპერტუარში ჰქონდათ ცალკეული ქართული სიმღერები და იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ქართული მრავალხმიანობის შესწავლას და პოპულარიზებას ფინეთში. მაგალითად, ფინელმა კომპოზიტორმა, გიტარისტმა, დირიჟორმა და ბასისტმა ილპო საასტამოინენმა 1983 წელს იმოგზაურა საქართველოში ქართული ხალხური მუსიკის გაცნობის მიზნით. მას სურდა ფინეთში რადიო გადაცემის გაკეთება ქართული ხალხური მუსიკის შესახებ.

საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებით, თავის ინტერნეტ გვერდზე საასტამოინენი აღნიშნავს, რომ მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დაუვიწყარი მუსიკალური გამოცდილება იყო, როდესაც მას და მის მეგობარს, მიკას მოხუცებმა (პირველი მსოფლიო ომის ვეტერანებმა) მათთან ერთად სიმღერა შესთავაზეს. ის აღწერს, თუ როგორ მიაღო მას თავი ბანის პარტიის შემსრულებელმა და ასე გაგრძელდა სიმღერა – „მე ვუსმენდი, რომელ ხმას მღეროდა და მის სიმღერას ვყვებოდი“.

საასტამოინენმა, რომელსაც საშუალება ჰქონდა, დასწრებოდა „გორდელას“ და „რუსთავის“ რეპეტიციებს, ნოტებზე გადაიტანა ამ ვოკალური ჯგუფების მრავალხმიანი სიმღერები. ეს საწარმოო მასალა, სხვა ქვეყნების სიმღერების ნოტებთან ერთად, მოგვიანებით, 1980-იან წლებში დაიბეჭდა მუსიკალურ კრებულში „ერების ძახილი“.

1980-იან წლებში საქართველოდან, ასე თუ ისე, აღწევდა ჩვენამდე კასეტები და ვინილის ფირფიტები ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერებით, თუმცა 1990-იანი წლებიდან, დიდი ხნის განმავლობაში, ეს იშვიათი მოვლენა გახდა.

2000 წლიდან ფინეთში მომრავლდა ანსამბლები, რომელთა რეპერტუარებშიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ქართული ხალხური სიმღერები და მათი გადამუშავებული ვერსიები.

მგონი 2001 თუ 2002 წელს მოვისმინე ანსამბლ „äijät“-ის მიერ ჰელსინკის კიეკუ-კლუბში შესრულებული ქართული მრავალხმიანი სიმღერა. ეს ჯგუფი ასრულებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალხმიან სიმღერებს, რომელთა შორის იყო მეგრული „კუჩხი ბედინერი“.



ანსამბლ „იბერიას“ აფიშა საქველმოქმედო კონცერტისთვის (2014)

ანსამბლ „პირპაუკეს“ 2006 წელს გამოცემულ კომპაქტურ დისკზე სახელწოდებით „Kalabalik“, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სიმღერებთან ერთად, შესულია ქართული სიმღერა „სატრფიალოს“ ჯაზ-ვერსია. ამ სიმღერაში შეიძლება ამოიცნოთ თემა სიმღერისა „ხოხბის ყელივით“. 2010 წელს გუნდები „კასანდრა“ და „Kiehinä“ (ორივეს ხელმძღვანელობდა ვიირა ვოიმა) ასრულებდნენ აჭარულ სიმღერას „გოგოვ, გოგოვ ფაციაო“, ხოლო მომდევნო წელს „კასანდრას“ რეპერტუარში ჰქონდა ლაზური სიმღერა „ელა კომოხტი ელა“. თუ სწორად მახსოვს, გუნდის ხელმძღვანელს აჭარული სიმღერა უსწავლია ერთ-ერთი საერთაშორისო საგუნდო ფესტივალის ვორჟმოპზე, ხოლო ლაზური სიმღერა – თურქული გუნდის წევრისგან, ვიირას კი სიმღერა გადაუმუშავებია.

2010 წელს ჩატარებული საშობაო კონცერტის რეპერტუარში გუნდს სახელად „Hämäläisen Osakunnan laulajat“ მრავლად ჰქონდა ქართული მრავალხმიანი სიმღერები. 2011 წელს გამოშვებულ მათ კომპაქტდისკზე სახელწოდებით „Alilo – Lauluja Seimen ääreltä“ შესულია რაჭული „ალილო“ და კახური „შენ ხარ ვენახი“. ქართული სიმღერებით რეპერ-

ტუარის გამდიდრება გუნდს კომპოზიტორმა მეთიუ უითალმა ურჩია, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში დაინტერესებული იყო დასავლური კლასიკური და, მათ შორის, ქართული სასიმღერო ტრადიციებითა და შესრულების ტექნიკით. მან ქართული სიმღერების ნოტები ინტერნეტში მოიძია და გუნდს გაუზიარა.

ქართული სიმღერის პირველი ვორქშოფები ფინეთში

ფინეთში ქართული სიმღერის პირველი ვორქშოფი 2004 წელს ჩატარდა. მის ორგანიზებაში საკვანძო როლი პიანისტმა მინა პოლანენმა შეასრულა. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა მინამ მოისმინა ანსამბლ „მზეთამზის“ გამოსვლა ჰოლანდიაში. მინა ფინეთში, სიბელიუსის აკადემიაში ასწავლიდა და გადაწყვიტა „მზეთამზის“ მიწვევა აკადემიის სტუდენტებისთვის ვორქშოფების ჩასატარებლად. სიბელიუსის აკადემიაში ვორქშოფი ნინო მახარაძემ ჩაატარა. პოლანენის ორგანიზებით „მზეთამზე“ ასევე გამოვიდა ერთ-ერთ „სტრიმ“ კლუბში. კონცერტზე შესრულდა ყოფითი რეპერტუარი: ყოველდღიური საქმიანობის, მოსავლის აღების, ამინდის მართვისა და საკულტო სიმღერები, ასევე, ბავშვის დაბადებასთან და ადამიანის გლოვასთან დაკავშირებული ნიმუშები. იმავე საღამოს ჩატარდა რეჟისორ ლიანა ელიავას ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმის, „ფერმა მთაში“ ჩვენება.

2011 წლის ივნისში, მართლმადიდებლური საეკლესიო მუსიკის საერთაშორისო საზოგადოების (ISOCM) მიერ ორგანიზებული, მართლმადიდებლური საეკლესიო მუსიკის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, აღმოსავლეთ ფინეთის იოენსუუს უნივერსიტეტში ჩატარდა ქართული გალობის ვორქშოფი, რომელსაც უძღვებოდა ჯონ ა. გრემი, მონაწილეობდნენ ეკატერინე დიასამიძე-გრემი და დავით შულღიაშვილი. თითოეული მათგანი კონფერენციაზეც გამოვიდა მოხსენებით; კონფერენციის დასასრულს იოენსუუს ლუთერანულ ეკლესიაში ქართული მრავალხმიანი სიმღერების კონცერტი გაიმართა.

ვმღერით და ვსწავლობთ ერთად

2011 წლის შემოდგომაზე მე და მამა დამასკინოსმა (ერისკაცობაში იაკო ოლკინუორა), რომელიც იყო კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ერთად დავიწყეთ ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შესრულება. მათი უმეტესობა

იყო კონფერენციის ფარგლებში გამართული ვორქშოფიდან, დანარჩენი კი კომპაქტურ დისკებზე ან იუთუბზე გვეყონდა მოსმენილი. ჩვენ ხშირად ვმეცადინეობდით ჰელსინკის კონსერვატორიაში, სადაც დამასკინოსმა თავის სტუდენტებს და მაგლობელ კოლეგებს რამდენიმე ქართული სიმღერა გააცნო. ზოგიერთი მათგანის სიმღერა ჩაწერილია 2014 წელს გამოცემულ დისკზე „IN THE MIDDLE OF THE ROSARY GARDEN – SONGS OF THE PILGRIM“. ჩვენ ორივე ვგეგმავდით ქართული სიმღერის ანსამბლის შექმნას.



ანსამბლ „ძველი პეპელას“ საკონცერტო აფიშა (2019)

2012 წლის ზაფხულში დამასკინოსმა საქართველოში იმოგზაურა ენის ინტენსიური სწავლების პროგრამის ფარგლებში ქართული ენის შესასწავლად, ასევე, შეისწავლა ქართული გალობა დავით შულღიაშვილთან და ანჩისხატის გუნდთან, ხოლო ხალხური სიმღერები და ტრადიციულ ფანდურზე დაკვრა – ნანა ვალიშვილთან.

მე მქონდა შესაძლებლობა, მესწავლა ახალი ქართული სიმღერები და ფანდურის (ქრომატული) საფუძვლები ათენში, როდესაც ვსტუმრობდი ქართული კულტურის ცენტრს „კავკასია“ (თავმჯდომარე – პროფესორი ავთანდილ მიქაბერიძე). 2012 წლის დეკემბერში მეოთხედ ვიყავი საქართველოში და იმ დროისთვის მივიღე გადაწყვეტილება, დამეწყო სწავლა ქართული ხალხური მუსიკის პროგრამაზე უცხოელებისთვის თბილისის კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში.

2012 წლის გაზაფხულზე ჰელსინკში ჩამოვყალიბე ანსამბლი „იბერია“, რომელიც 2017 წლამდე ფუნქციონირებდა. მასში სულ 5 წევრი იყო. რეპერტუარში თავდაპირველად ქართულ ტრადიციულ სიმღერებთან და საგალობლებთან ერთად პოპულარული ქართული სიმღერებიც შედიოდა. „იბერიას“ მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო საქველმოქმედო საზოგადოება „მაპა რი“ („Mapa Ry“) (ხელმძღვანელი ტარია რანტალა), რომელიც „იბერიასთან“ ერთად აწყობდა საქველმოქმედო კონცერტებს საქართველოში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფი ოჯახებისთვის, მათ შორის, აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის, სახსრების მოზიდვის მიზნით. „მაპა რი“-ის მიერ ორგანიზებულ კონცერტებსა და სუფრებზე დამსწრეები ისმენდნენ ინფორმაციას საქართველოს შესახებ და ჰქონდათ ქართული კერძების დაგემოვნების შესაძლებლობა. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ცნობადობის გაზრდას როგორც საქართველოს, ისე ქართული სიმღერის შესახებაც. კიდევ ერთი საქველმოქმედო საზოგადოება იყო „ფილოქსენია რი“ („Filoksenia Ry“), რომელმაც მოაწყო საქველმოქმედო კონცერტები „იბერიასთან“ ერთად ჰელსინკის უსპენსკის ტაძარში (2012 და 2013 წლებში). „იბერია“ გამოვიდა „Art go Kapakka“ საგუნდო ფესტივალზე, მონაწილეობდა კერძო ღონისძიებებში (დაბადების დღეები, გამოსაშვები წვეულებები და ა.შ.) და თვითონაც აწყობდა კონცერტებს. „იბერიამ“ მონაწილეობა მიიღო ფინეთის ეროვნული რადიოს რუსულენოვან გადაცემაში, რომელსაც ქართველი ლევან თვალთვაძე უძღვებოდა და „Lähiradio“-ში, სადაც მას „იბერიას“ ერთ-ერთი წევრი მასპინძლობდა. ანსამბლთან ერთად პირველ კონცერტებში მონაწილეობდა ქართველი ელენე საგინაშვილი, რომელიც ფინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების მეშვეობით გავიცანით. საქართველო-ფინეთის საზოგადოება და კონსტანტინე იოსელიანი – მაშინ ფინეთში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული – აქტიურად გვიჭერდნენ მხარს და გვიწყობდნენ ხელს. იოსელიანმა შემოგვთავაზა, „იბერიას“ პირველ კონცერტებზე, 2012 წლის მაისის ბოლოს, ჰელსინკის კულტურულ ცენტრში „კაიზა“, წარმოდგენილი ყოფილიყო მხატვარ სოილი მუსტაპას ფოტოები, რომელიც ნამყოფი იყო საქართველოში და მონაწილეობდა ქართული სიმღერის მასტერკლასებში.

ქართული სიმღერები სხვადასხვა ანსამბლში

„Mapa Ry“-ს მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ საქველმოქმედო კონცერტზე ჩეჩენ-დაღესტნელმა მომღერალმა, ლიზა უმაროვამ „საქართველო, ლამაზო“ იმღერა. მოგვიანებით „იბერიას“ ზოგიერთ წევრთან თანამშრომლობის შედეგად, ლიზა უმაროვამ თავის რეპერტუარში უფრო მეტი ქართული სიმღერა შეიტანა, რომლებიც მან 2015 წელს დაარსებულ ჯგუფ „Kavkaz“-თან ერთად შეასრულა. ლიზა უმაროვას დახმარებით გავიცანი ნატალია კობახიძე – ქართული სიმღერების კარგი შემსრულებელი, რომელიც რომელიც აქტიურად ეწევა ქართული სიმღერის პოპულარიზაციას თავის გვერდებზე სოციალურ ქსელებში და ასევე აწყობს სუფრებს ქართული კერძებითა და სიმღერებით.



ანსამბლი „ტევრი“ (2022)

სხვა ანსამბლები, რომელთა რეპერტუარის ერთ ნაწილს ქართული სიმღერები შეადგენდა, იყო: „Emännät“ (ფუნქციონირებდა 2015-2020 წწ.) და „Kisme“ (ფუნქციონირებდა 2014-2015 წწ.). მათი ზოგიერთი მომღერალი, მოგვიანებით, შეუერთდა „ტევრს“ და „საქანელას“. ფინელების გარდა, „Emännät“ რამდენიმე წევრი იყო უკრაინიდან, რუსეთიდან და ესტონეთიდან, ხოლო „Kismet“ ის წევრები თურქეთიდან და ფინეთიდან იყვნენ.

2013 წელს დამასკინოსმა დაასრულა ქართული ლიტურგიის არანჟირება ფინურ ენაზე და იგი პირველად შესრულდა ჰელსინკის წინასწარმეტყველ ელიას ეკლესიაში. 2014 წელს გამოქვეყნდა თეოლოგიის დოქტორანტის, დამასკინოსისა და მართლმადიდებლური საეკლესიო მუსიკის პროფესორის, მარია ტაკალა-როსჩენკოს „Pyhiinvaeltajan lauluja“ („პილიგრიმების სიმღერები“). ეს არის კრებული (ორი წიგნის სახით) სხვადასხვა მართლმადიდებლური ქვეყნის, მათ შორის, ქართული ხალხური სიმღერებისა. პირველ წიგნში შესულია სოლო,

მეორეში კი – მრავალხმიანი სიმღერები. სანამ „Pyhiinvaeltajan Lauluja“ გამოქვეყნდებოდა, წიგნის ავტორებმა ჩაატარეს რამდენიმე მასტერკლასი, რომლებიც ორგანიზებული იყო ფინეთის ბიზანტიური მუსიკალური საზოგადოების მიერ და მოიცავდა ბიზანტიურ, ზნამენისა და ქართულ ჰანგებს ფინურ, სლავურ და ქართულ ენებზე. მოგვიანებით მასტერკლასები გაგრძელდა ზუმის ფორმატში.

მამაკაცთა გუნდი დამასკინოსის დირიჟორობით „Psaltikon“, რომელიც ფუნქციონირებდა 2016-2019 წწ. ასრულებდა ქართულ საგალობლებსა და პარალიტურგიულ სიმღერებს.

2015 წელს, „პილიგრიმების სიმღერების“ საფუძველზე, გამოიცა აუდიოალბომი „IN THE MIDDLE OF THE ROSARY GARDEN – PILGRIM SONGS“, რომელშიც შევიდა შერჩეული საგალობლები აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს მდიდარი ხალხური ტრადიციიდან. ალბომი მოიცავს ბალკანურ, აღმოსავლეთ სლავურ და ქართულ სიმღერებს.

„მველი პეპელა“ შეიქმნა ხალხური მუსიკის ჟურნალის (Kansanmusiikki) მთავარი რედაქტორის, საული ჰეიკილას მიერ 2013 წელს. საული, პედაგოგი და ტუვური ყელისმიერი სიმღერის სპეციალისტი, მრავალი წელი იყო დაინტერესებული ქართული სიმღერით. მან მიმიწვია ჯგუფში სამი მამაკაცი მომღერლის პედაგოგად. ყველა მათგანს ჰქონდა ის მომღერლისა და სოლისტის გამოცდილება. ამჟამად „მველ პეპელაში“ 4 წევრია. თავისი არსებობის მანძილზე „მველი პეპელა“ გამოდიოდა სხვა ანსამბლებთან და შემსრულებლებთან ერთად ქართულ რესტორნებში, კულტურულ ცენტრებში, ეკლესიებში და კერძო დღესასწაულებზე, მაგ.: დაბადების დღეებზე და სუფრებზე; აწყობდა საკუთარ კონცერტებსაც. მის რეპერტუარში შედიოდა: შრომის, კალენდარული, ქალაქური სიმღერები, იავნანები, სატრფიალო და რიტუალური სიმღერები. რეპერტუარი, ძირითადად, შედგებოდა პედაგოგის მიერ, როგორც საქართველოში, ისე ჰელსინკიში მასტერკლასებზე ნასწავლი სიმღერებისგან, ასევე – იუთუბიდან ან კომპაქტური დისკებიდან შესწავლილი ნიმუშებისგან. სიმღერებს სწავლობდნენ სმენით ან ნოტებიდან.

წლების განმავლობაში, საქართველო, როგორც ქვეყანა თავისი ღირსშესანიშნაობებით, ისტორიითა და კულტურით, უფრო და უფრო ნაცნობი გახდა ფინელებისთვის. გამოჩნდა წიგნები და სერიალები

საქართველოს შესახებ, გაიხსნა ახალი რესტორნები. (განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული სახლი“). „მველი პეპელა“ გამოვიდა წიგნის „Löytöretkiä Georgian“ („შემეცნებითი მოგზაურობები საქართველოში“) პრეზენტაციაზე ახალ ქართულ რესტორანში სახელად „პურპური“; წიგნის რედაქტორები არიან: ბერგლუნდ კრისტა, იკონენ სუზანი, ლაიტილა ტეუვო და როპონენ ვილლე. „პურპური“ გახსნა ცნობილმა მსახიობმა ვილე ჰაპასალომ, სატელევიზიო სერიალის „კავკასია 30 დღეში“ („Kaukasia 30 Päivässä“) მთავარმა გმირმა, რომელმაც დიდად შუწყო ხელი ფინეთში საქართველოს მიმართ ინტერესი გაჩენას.

2017 წელს, ფინურმა ეთნომუსიკოლოგიურმა ჟურნალმა „Musiikin Suunta“ დაბეჭდა ჩემი სტატია „ქართული მრავალხმიანობის შესავალი“.

ცხადია, წლების განმავლობაში ფინეთში ჩასული ქართული გუნდები და საცეკვაო ჯგუფებიც ხელს უწყობენ ქართული სიმღერის ცნობადობისა და პოპულარობის ზრდას ფინეთში.

მერი-სოფია ლაკოსი
მუსიკოლოგიის სტუდენტი
ჰელსინკი, ფინეთი

ქართული სიმღერის მოამაგეები ვარლამ სიმონიშვილი (1884-1950)

2024 წელს 140 წელი სრულდება ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ვარლამ სიმონიშვილის დაბადებიდან. ქართული ხალხური მუსიკის თაყვანისმცემელთათვის ვარლამ სიმონიშვილის სახელი ტრადიციული გურული სიმღერა-გალობის შემსრულებლობასთან არის დაკავშირებული. შესანიშნავმა მომღერალმა და განთქმულმა ლოტბარმა თავისი საქმიანობით უდიდესი როლი შეასრულა გურიის კულტურულ ცხოვრებაში. მან გამოამზეურა გურული მუსიკალური ფოლკლორის მარგალიტები, შექმნა ამა თუ სიმღერის ცალკეულ ხმათა განუმეორებელი, *სიმონიშვილისეული* ვარიანტები და განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა წინაპართაგან შესისხლბორცებული სასიმღერო მემკვიდრეობა. ვარლამ სი-

მონიშვილის მიერ ფოლკლორულ შემსრულებლობაში დამკვიდრებული ნიმუშებიდან განსაკუთრებულ ყურადღების იმსახურებს: *ხელხვავი, ვახტანგური, ბრევალო, ხასანბეგურა, მწვანესა და უქუდოსა, ბურთის გამარჯვება, ძველი აბადელია, დათვმა ლხინი გადიხადა, ინდი-მინდი, წამოკრული...*



ვარლამ სიმონიშვილი

საგუნდო საქმის ზედმიწევნით ცოდნასა და ორგანიზატორულ ნიჭზე მეტყველებს ვარლამ სიმონიშვილის მიერ ჩამოყალიბებული მცირე ჯგუფებისა და დიდი გუნდების სიმრავლე. ისინი აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდნენ და ერთნაირი წარმატებით გამოდიოდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მსმენელის წინაშე. ე. წ. სასცენო ფოლკლორის აყვავების პერიოდში (იგულისხმება საბჭოური ოლიმპიადები, დათვალიერებები). ეს ჯგუფები თუ კოლექტივები მაქსიმალურად ცდილობდნენ ქართული ხალხური სიმღერის შესრულების ტრადიციული პრინციპების დაცვას; დიდ ადგილს უთმობდნენ ფერხულს, ცეკვას, საკრავიერ მუსიკას; ზრუნავდნენ მშობლიური კუთხის განუმეორებელი კოლორიტის შენარჩუნებაზე.

ვარლამ სიმონიშვილი ძველი ქართული რიტუალების, ცეკვების აღმნუსხველი და შემნახველი იყო. მის მიერ ჩატარებულ ყველა კონცერტს ამშვენებდა ხალხური ქორეოგრაფიის ისეთი მარგალიტები, როგორებიცაა *ფერხული, ხორუმი, ყოლსამა*. შესანიშნავი აღნაგობისა და იშვიათი გარე-

ნობის მქონე ვარლამ სიმონიშვილი თურმე თავადაც კარგად ცეკვავდა. უჩვეულო, ყველასგან განსხვავებული ნაბიჯი ჰქონია. მის ჰაეროვან მოძრაობას მონუსხული შესცქეროდა მაყურებელი. იერ-სახეზე ზრუნვას, დახვეწილ მანერებსა და კეთილშობილურ საქციელს იგი სხვებისგანაც მკაცრად ითხოვდა. ახოვანი, მხრებგაშლილი, დარბაისელი, თავმდაბალი, ქველმოქმედი, თავაზიანი, მუდამ მომდიმარი, ტკბილმოუბარი, სიტყვამახვილი, სტუმართმოყვარე პიროვნება კაცური კაცობის ეტალონი იყო მეგობრებისათვის.

ვარლამ სიმონიშვილს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა მრავალ ქართველ ლოტბართან. მასთან ჩამოდიოდნენ: რემა შელეგია, მიხეილ გაბელია, ჰასან ცეცხლამე, კიწი გეგეჭკორი, კირილე პაჭკორია, კოტე ფოცხვერაშვილი და სხვანი. ვარლამი ხშირად ხვდებოდა დიმიტრი პატარავას, არტემ ერქომიშვილს. ეს შეხვედრები სიმღერა-გალობის დაუვიწყარ სადამოებად იქცეოდა ხოლმე. გიგო ერქომიშვილის დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო საგალობლები სწორედ ამ სამეულს შეუსრულებია.

ვარლამ სიმონიშვილს გურული სიმღერის სხვა კორიფეებთანაც უმღერია. მათ შორის: ჩავლეიშვილებთან, ბერძენიშვილებთან, მეღქისედექ ნაკაშიძესთან, გიორგი ბაბილოძესთან, გიორგი იოზიშვილთან, ივლიანე კეჭაყმაძესთან, ივანე ჩხაიძესთან, ილიკო ხომერიკთან, რუბენ ვასაძესთან, დავით მდინარაძესთან, შალვა სიამაშვილთან, თომა მუჯირთან, სამუელ ჩხიკვიშვილთან, ბესარიონ ინწკირველთან, გალაქტიონ თალაკვაძესთან, გიგო მგელაძესთან, ლადიკო დოლიძესთან, აკაკი ბასილაშვილთან, ილიკო მორჩილაძესთან და სხვებთან.

ვარლამ სიმონიშვილმა აღზარდა მთელი პლეადა შესანიშნავი მომღერლებისა, რომლებმაც გააგრძელეს სახელოვანი პედაგოგის გზა და მრავალი საგუნდო კოლექტივი დაამშვენეს. მის მოსწავლეთა შორის იყვნენ: შერმადინ ჭკუასელი, დომენტი ქარჩავა, ვარლამ ვაშალომიძე, ესე ჭანიშვილი, მიხეილ შავიშვილი, ილარიონ სიხარულიძე, ტელე იოზიშვილი, ილარიონ ინწკირველი, აპოლონ ჩავლეშვილი, ვასილ აბაშმაძე, სოლომონ ჭანუყვაძე, თომა მუჯირი, ვალერიან ქავთარაძე, კოტე პაპავა, პავლე ქავჭარაძე, დიომიდე მდინარაძე, ივანე ახვლედიანი, თეიმურაზ კვირკველია, გედეონ მჭავანაძე, კარლო ურუშაძე.

სიმონიშვილი გურული პოლიფონიის შედეგ-
რებს აზიარებდა აჭარელ, იმერელ, მეგრელი, აფხაზ
მოსწავლეებსაც. მისმა შეგირდებმა სიმღერით მოია-
რეს ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, ჰოლანდია,
ინგლისი, გერმანია და მრავალი სხვა ქვეყანა. საქა-
რთველოში მნელად მოიძებნება ანსამბლი, რეპერ-
ტუარში ვარლამ სიმონიშვილის სიმღერები რომ არ
ჰქონდეს.



ვარლამ სიმონიშვილის გუნდი (1920)

ტრისტან სიხარულიძე იგონებს, რომ ვარლამ
სიმონიშვილი თავის მომღერლებს ხაზგასმით სთ-
ხოვდა ხალხური საშემსრულებლო ჩვევების შენარ-
ჩუნებას, არტიკულირების ტრადიციული მანერის
დაცვას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვარლამ
სიმონიშვილის დამსახურება გურული საჩონგურო
სიმღერების პოპულარიზაციაში. ამ საკრავზე იგი
ვირტუოზულად უკრავდა და როგორც ხალხური
პროფესიონალიზმის წარმომადგენელი, თავადაც
ქმნიდა მშვენიერ ლირიკულ სიმღერებს.

საბედნიეროდ, მომღერლის ხმა ჩაწერილია და
შთამომავლობას საშუალება აქვს შეაფასოს მისი ხა-
ვერდოვანი ტემბრი, დახვეწილი ტექნიკა, იმპრო-
ვიზაციის საოცარი უნარი, არაჩვეულებრივი სიმსუ-
ბუქე და მოქნილობა, გურული სიმღერისათვის ესო-
დენ დამახასიათებელი ცეცხლოვანება და სიჩაუქე,
მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, სცენური
არტისტიზმი, რაც ვარლამ სიმონიშვილს საპატიო
ადგილს უმკვიდრებს ხალხური სიმღერის დიდო-
სტატოთა პანთეონში. ცნობილია, რომ ვარლამ სიმ-
ონიშვილმა ზედმიწევნით კარგად იცოდა გურული

(და არა მარტო გურული) სიმღერის ყველა ხმა,
მაგრამ აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას მხოლოდ
ბანის პარტიას ასრულებდა. ცნობილი მომღერლის
დიმიტრი იმედაიშვილის აზრით, ვარლამის მო-
ქნილი ბანი „დაბლიდან მაღლა შევარდენივით მი-
დიოდა“. პოლიფონიური აღნაგობის ურთულეს სი-
მღერებში მის მიერ ნათქვამი ბანი მართლაც რომ
შეუდარებელია, ხოლო ტრიო – სამუელ ჩავლეიშ-
ვილის, ალექსანდრე მახარაძისა და ვარლამ სი-
მონიშვილის შემადგენლობით, გურიაში დღემდე
ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

არტემ ერქომაიშვილს ვარლამ სიმონიშვილი,
დიმიტრი პატარავასთან ერთად, სასიქადულო მომ-
ღერლად და გურული საგალობლების უკანასკნელ
მცოდნედ მიაჩნდა.

ვარლამისთვის გალობა ანტონ დუმბაძეს უს-
წავლებია, რომელსაც გურიაში, იმერეთსა და სამე-
გრელოში 5000-მდე მაგალობელი გაუზრდია. რო-
გორც ვარლამ სიმონიშვილის ერთ-ერთი შთამომა-
ვალი გადმოგვცემს, ერთხელ, როცა ვარლამი სკო-
ლიდან სიმღერით ბრუნდებოდა, დავით დუმბაძეს
(ანტონის ვაჟს) უკითხავს მისი ვინაობა და თა-
ვისთან წაუყვანია. მაშინ საგალობლებს ძირითადად
თავადაზნაურობა ასრულებდა და ეკლესიაში ვარ-
ლამის მიყვანას სამღვდელოება აღუშფოთებია –
გლეხის შვილმა რატომ უნდა თქვას გალობაო, მაგ-
რამ დავით დუმბაძის გადაწყვეტილება ურყევი იყო
და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ვარლამს დუმ-
ბაძეთაგან სასულიერო მუსიკის ღრმა ცოდნა მიუ-
ღია. როგორც მოგვიანებით თავად აღნიშნავდა, ან-
ტონ დუმბაძის სწავლების კურსი 3750 საგალობელს
მოიცავდა. მათი შესწავლის შემდეგ, ვარლამს გამო-
ცდა ჩაუბარებია ოზურგეთის სამაზრო სასულიერო
საწავლებელში იტალიიდან ახლად დაბრუნებულ
ფილიმონ ქორიძესთან. ამ უკანასკნელმა მაშინვე
შენიშნა 14 წლის ბიჭის ნიჭიერება, მას სანოტო ან-
ბანი შეასწავლა და მუსიკალური განათლება გაუ-
ღრმავა. ანტონის დავალებით, სწორედ ფილიმონ
ქორიძემ ჩაიწერა ვარლამისგან დუმბაძეთაგან ნას-
წავლი საგალობლები.

1950 წლის 23 მარტს, ვარლამ სიმონიშვილი 66
წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი შემოქმედის მონას-
ტრის ეზოშია დაკრძალული.

„ძვირფასი მასწავლებლის დაკარგვა მტკივნე-
ულად განვიცადეთ... ვარლამის გარდაცვალების შე-
მდეგ კარგა ხანმა განვლო, მაგრამ მის მოსწავლეებს

„ნანინას“ ლატვიური ისტორია

2023 წლის 7-14 სექტემბერი – ეს არის ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ შემოქმედებითი ცხოვრების ის ბედნიერი დღეები, როდესაც, მორიგ ჯერზე, მოგვეცა შესაძლებლობა, საგასტროლო ტურნეთი გვემოგზაურა ლატვიაში, შევხვედროდით ჩვენს საყვარელ ანსამბლ „საუცეიას“, ლატვიელი მსმენელისთვის გაგვეზიარებინა ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურა, ჩვენ კი უკეთ შეგვემეცნა და განგვეცადა მათი მუსიკალური ხელოვნების თვითმყოფადობა.

Krustpils Kultūras centrā 8. septembrī 18.00	Lūznava muiža 9. septembrī 17.00	Daugavpili, Vienības namā 10. septembrī 15.00	Rīgā E.Smilga Teātra muzejā 13. septembrī 18.00
---	---	--	--

LATVIJAS UN GRUZIJAS BALSIS



ლატვიური ტურნეს აფიშა

სწორედ „საუცეიასის“ ინიციატივითა და ძალისხმევით განხორციელდა პროექტი, რომელიც გულისხმობდა ლატვიის ოთხ ქალაქში – იეკაბპილსში, ლუზნავაში, დაუგავპილსსა და რიგაში – ერთობლივი კონცერტებისა და ლექცია-მასტერკლასების ჩატარებას. ამ ანსამბლთან მანამდეც მრავალჯერ გვექონია შეხვედრის საშუალება, როგორც საქართველოში, ისე ლატვიაში. წლების მანძილზე ორივე ჯგუფის წევრებს, შემოქმედებითი ურთიერთობის მდიდარ გამოცდილებასთან ერთად, დაგვიგროვდა დიდი ემოცია, სითბო და სიყვარული ერთმანეთის მიმართ. როგორც მეგობრობას ახასიათებს, ბევრი საერთო აღმოჩნდა ჩვენ შორის – ქალთა შემადგენლობა, ჩამოყალიბების ერთი და იგივე წელი (2003) და, შესაბამისად, ორივეს 20 წლის იუბილე 2023 წელს, მრავალშვილიანი დედების სიმრავლე ორივე ანსამბლში და რეპეტიციებზე გაზრდილი ბავშვები და მრავალი სხვა... თუმცა, ამ შეკავშირების მთავარი მიზეზი მსგავსი ფასეულობები, კერძოდ კი, განსაკუთრებული დამოკიდებულებაა ტრადიციული კულტურის მიმართ: ფოლკლორული ფესვების სა-

ისევ მისი სიყვარული გვაკავშირებდა. წვეულებებზე თუ ოჯახებში ერთმანეთს ვხვდებოდით და ვასრულებდით ვარლამისეულ სიმღერებს. ისინი რამდენჯერმე ჩაწერა ტელევიზიამ, რადიომ... ეს სიმღერები გასაჭირს ახლაც მიმსუბუქებენ“, – გვიამბობს მიხეილ გოგოტიშვილი.

პედაგოგის გარდაცვალების შემდეგ მისმა მოსწავლეებმა გედეონ მჟავანაძემ, დომენტი ქარჩავამ, ილარიონ სიხარულიძემ, აპოლონ ჩავლეიშვილმა, ვარლამ ვაშალომიძის თაოსნობით შექმნეს ანსამბლი „დილა“, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა ვარლამ სიმონიშვილის სკოლის საშემსრულებლო ტრადიციები.

1984 წლიდან შემოქმედში გურული ხალხური სიმღერის დიდი მოამაგის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. დოკუმენტების შეკრებისა და დაცვის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ვარლამის შვილმა – ნესტორმა. ექსპოზიცია ეტაპობრივად ასახავდა ვარლამ სიმონიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პეტერბურგში, მოსკოვში, თბილისისა და სხვა ქალაქების ფონდებში, არქივებში ქალაქების და კერძო კოლექციებში მოპოვებული იქნა უნიკალური, რელიქვიად ქცეული მასალა.

ორმოცდაათწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ვარლამ სიმონიშვილმა 2000-ზე მეტი მოსწავლე გაზარდა!

XX საუკუნის პირველი ნახევრის გურულ ლოტბართა შორის ვარლამ სიმონიშვილი უდაოდ გამოჩენილი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ფიგურაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი გურული სასიმღერო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და ნაყოფიერი მოღვაწეა.

ნინო კალანდაძე, ლელა ურუშაძე
მასალა დამუშავებულია წიგნიდან
ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები.
გურია. ტ.1.

თუთად დაცვა მთავარ ღირებულ ამოცანად რომ მიგვაჩნია, სწორედ ამ გარემოებამ შეგვახვედრა და აღმოგვაჩენინა ერთმანეთი. ამიტომაც იქ, იმ უცხო, განსხვავებული კულტურის ქვეყანაში თავს ვგრძნობდით ძალიან ახლობელ, შინაურულ გარემოში.

კონცერტები ბლოკებად დავყავით და ერთგვარი დიალოგური ფორმით ავაგეთ, სადაც ლატვიური ტრადიციის რომელიმე თემას ან ჟანრს ამავე თემატიკის ქართული ფოლკლორული ნიმუშებით ვპასუხობდით. ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს ქალთა რეპერტუარის საკულტო-რიტუალური, საწესრიტუალური, შრომის, სატრფიალო, სახუმარო სიმღერები და ცეკვები.



კონცერტის შემდეგ დაუგავპილსში

ამგვარი შენაცვლებით ორი ქვეყნის მუსიკალური ფოლკლორის ერთიან სივრცეში და კონტექსტში წარმოჩენა ძალიან შთამბეჭდავი და ინფორმატიული აღმოჩნდა. ადვილად აღქმადი გახდა მსგავსება ერთი და იმავე ჟანრის ქართულ და ლატვიურ სიმღერებს შორის, მიუხედავად მათი განსხვავებული გეოგრაფიული თუ კულტურული არეალისა; ამასთანავე, გამოიკვეთა ორივე ხალხის მუსიკალური აზროვნების ინდივიდუალობა და თვითმყოფადობა. ანსამბლ „საუცეიასის“ რეპერტუარში სიმღერების უმრავლესობა მრავალხმიანია და ჩვენეული „პასუხები“ ასევე მრავალხმიანი, ქართული ჟღერადობით, ძალიან საინტერესოს ხდიდა ამ მუსიკალურ დიალოგს.

გაჩნდა იდეა ერთად შეგვესრულებინა „აკვნის ნანები“, სადაც თითო ქართულ „ნანას“ უპასუხებდა თითო ლატვიური „ნანა“. ასე ჯაჭვურად აიკინმა ჩვენი ერთობლივი ნომერი, რომელშიც უფაქიზეს, დედობრივი გრძნობებით დამუხტულ შესრულებას,

მაყურებელი განაბული უსმენდა, ზოგს ცრემლიც კი ადგებოდა თვალებზე. სპონტანურად გაჩნდა იდეა, „აკვნის ნანების“ ერთობლივი კოლაჟი ცალკე ვიდეოს სახით გადაგვეღო, მაგრამ წინასწარ დაგეგმილი საგასტროლო პროგრამა იმდენად დატვირთული იყო, რომ ამის განხორციელება მწელდებოდა. თუმცა, როცა ამდენი ადამიანი ერთიანი იდეით აერთებდა, ყველა წინაღობა უკან იხევს. ლატვიურ-ქართული „ნანების“ ვიდეო გამომგზავრების წინ, ბოლო წუთებში, მაინც გადავიღეთ. უკეთეს გარემოს ვერც ვინატრებდით! ულამაზესი, ძველი ხის სახლი და საოჯახო რელიქვია – აკვანი, რომელშიც მრავალი ბავშვი, მათ შორის, ჩვენი მასპინძლის ექვსივე შვილი გაიზარდა.

საკონცერტო პროგრამაში გვქონდა სხვა ერთობლივი ნომრებიც. უნდა გენახათ, როგორი მოწიწებითა და შინაგანი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ გურულ „საბოდიშოს“ ჩვენთან ერთად. ჩვენი კი ლატვიურ შაირებში ჩავერთეთ და, როგორც შეგვაფასეს, არც თუ ურიგოდ გამოგვივიდა.

კიდევ მრავალი ძვირფასი წუთი და ემოცია განვიცადეთ მაყურებელთან ერთად. ერთ-ერთი ასეთი იყო ხმებში გაშლილი ლატვიური სიმღერის – „პუტ ვეინის“ ჩვენეული შესრულება, მათთვის უჩვეულო აკორდებით, რომელიც მოულოდნელობის განცდას იწვევდა. პირველივე ტაქტებიდან ვამჩნევდით, თუ როგორი განსაკუთრებული სითბო ეღვრებოდა გულში ჩვენს მსმენელს. თავდაპირველად ფრთხილად, კანტიკუნტად, შემდეგ უფრო გაბედულად, დარბაზიდან გვემატებოდა ხმები, მთელი სივრცე თანდათანობით, ყოველ ახალ სტროფთან ერთად, ივსებოდა ძლიერი, ერთიანი ჟღერადობითა და საოცარი ემოციური მუხტით. სიმღერის ბოლო აკორდზე ყველა – შემსრულებელ-მაყურებლიანად ფეხზე იდგა და ბედნიერ ღიმღის ასხივებდა.

მსგავსი რეაქცია კიდევ ერთ, ამჯერად, საქვეყნოდ ცნობილ ქართულ სიმღერასაც მოჰყვებოდა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით – კონცერტზე თუ ყოფით სიტუაციებში, დედაქალაქში თუ პერიფერიაში, „სულიკოს“ წამოწყება ლატვიელებზე ყოველთვის მომაჯადოებლად მოქმედებდა. არაერთი შემთხვევა მახსენდება წინა გასტროლებიდანაც, როდესაც მელოდიის ამოცნობისთანავე, ყველა როგორც ერთი, ფეხზე დგებოდა და გვიერთდებოდა ამ სიმღერის მართლაც ულამაზესი ჰანგების შესრულებას. იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც

ლატვიელები თავიანთ ენაზე აგრძელებდნენ „სულიკოს“ მომდევნო სტროფებს.

შეხვედრების სალექციო და მასტერკლასების ნაწილმაც შთამბეჭდავად ჩაიარა. მასტერკლასები ვიქტორია სამსონაძემ და მაია გელაშვილმა ჩაატარეს, ლექციები კი – მაკა ხარდიანმა. ოთხივე ქალაქის მსმენელს გავუზიარეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება: გავაცანით ქართული მუსიკალური ფოლკლორის მნიშვნელოვანი თავისებურებები, ცოცხლად წარმოვადგინეთ საილუსტრაციო მასალა, ქართულად ავამღერეთ ლატვიელები და ერთად ჩავაბით ფერხულები. შთაბეჭდილებების გაზიარებისას ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი უფრო გაუღვივდათ.



კონცერტის შემდეგ იკაბპილსში

მინდა აღვნიშნო, რომ ყოველი ახალი კონცერტისთვის ორივე ანსამბლი მნიშვნელოვნად ვცვლიდით რეპერტუარს, რათა მეტი ინტერესი გაგვჩენოდა და უკეთეს გავცნობოდით ერთმანეთის მუსიკალურ ტრადიციებს. ყოველი ახალი შეხვედრისას, ვგრძნობდით, თუ როგორ ძლიერდებოდა ჩვენი მეგობრობის ფესვები და საფუძველი ეყრებოდა შემდგომი კოლაბორაციული პროექტების განხორციელების იდეას. „ნანინა“ – „საუცეიასის“ მომავალი ერთობლივი გეგმა უკვე დასახულია.

მომდევნო გაჩერება – საქართველოა.

ვიქტორია სამსონაძე

ეთნომუსიკოლოგი, ჯგუფ „ნანინას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი

ანსამბლ „დიდგორთან“ ერთად „ამღერებული მუზეუმი“

მგალობელ-მომღერალთა გუნდ „დიდგორის“ ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გიორგი ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში პროექტი „ამღერებული მუზეუმი“ განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით მუზეუმში ღია ცის ქვეშ მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა.

მეგრულ, გურულ და კახურ ეზოებში „დიდგორელებმა“ ამ კუთხეების მუსიკალურ-ფოლკლორული ნიმუშების 3 სოლო კონცერტი გამართეს. ასევე 3 ერთობლივი კონცერტი ჩაატარეს ანსამბლებთან „ლალხორ“, „ფერხისა“ და „მარგალიტი“; პროექტი მოიცავდა ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასებსაც, რომლებიც „დიდგორელებმა“ ლოტბარებთან – ლიკა ლიპარტელიანთან, ბექა და გოჩა ბიძინაშვილებთან ერთად ჩაატარეს. საკონცერტო და სასწავლო აქტივობების გარდა, პროექტის ფარგლებში მომზადდა და ჩაიწერა 5 საშობაო სიმღერა/საგალობელი. აუდიო-ჩაწერა ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოებში მოხდა. ვიდეო-კლიპები წინა საშობაო პერიოდში განთავსდა დიდგორისა და მუზეუმის სოციალური მედიის გვერდებზე.



პროექტ „ამღერებული მუზეუმის“
მეგრული კონცერტის აფიშა

„ამღერებული მუზეუმი“ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია. შეიძლება ითქვას, რომ „დიდგორს“ ახალი სიცოცხლე შთაბერა ამ პროექტმა. ეთნოგრაფიული მუზეუმში იდეალური გარემოა ჩვენი

შემოქმედების წარსადგენად, რაც მთელი პროექტის მანძილზე იგრძნობოდა. კონცერტებს ქართველ მსმენელთან ერთად ბევრი უცხოელი სტუმარი დაესწრო. ხალხური სიმღერის გაკვეთილები ხანის (ბაღდათის რაიონის სოფელი) სახლის ულამაზეს აივანზე, ძაღვად შთამბეჭდავი იყო. როგორც წესი, მსგავს მასტერკლასებში ძირითადად უცხოელები მონაწილეობენ. ქართველი მონაწილეების ასეთი სიმრავლე ყველასთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.



ანსამბლ „დიდგორისა“ და ლიკა ლიპარტელიანის მასტერკლასის აფიშა

„დიდგორელებისთვის“ ყოველთვის მნიშვნელოვანია მეგობარი ანსამბლების ჩართულობა ჩვენს ღონისძიებებში. ერთობლივი კონცერტები დაუვიწყარ შთაბეჭდილებად დარჩება მსმენელს. მაღლობა მინდა გადავუხადო „ანსამბლებს: „ლალხორს“, „ფერხისას“ და „მარგალიტს“. ასევე – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ამ მხარდაჭერისათვის, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმს კი – მასპინძლობისათვის. თვითმოქმედი ანსამბლებისათვის ეს დიდი ხელშეწყობა...

2024 წელი „დიდგორისათვის“ საიუბილეო წელია – მას დაარსებიდან 20 წელი უსრულდება, შესაბამისად, მრავალ საინტერესო აქტივობას ვპირდებით ჩვენს მსმენელს და ქართული ფოლკლორის გულშემატკივრებს.

გივი აბესაძე

ანსამბლ „დიდგორის“ სოლისტი

უცხოური მრავალხმიანობა

ძველი სტილის სერბული სეკუნდური ორხმიანობა

სერბეთში ორხმიანობა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. განსაკუთრებით საინტერესოა სეკუნდური მრავალხმიანობა, რომლის მკაფიო მაგალითებიც მოცემულია სერბეთის სხვადასხვა რეგიონში.

ძველი შრის სიმღერები უმეტესად გვხვდება მგზავრულ, მკის, ქსოვის, საქორწილო, წმინდანთა მოსახსენიებლის, სამწყემსო ჟანრებში. ისინი გამოირჩევა არქაული კილოთი, რომელიც არატემპერიკულ ინტერვალებს შეიცავს. ასევე – მდიდრულად ორნამენტირებული მელოდიით, ერთგვარი „მხიარული“ შეფერილობისა.

ამგვარ ორხმიანობას, ჩვეულებრივ, მღერის სამი კაცი ან ქალი. ეს სტილი, თავის მხრივ, შეიცავს სხვადასხვა საშემსრულებლო მეთოდს, რაც მათი ფუნქციითაა განპირობებული. აქ ორხმიანობის შემდეგი სახეებია გავრცელებული: ჰეტეროფონიული, ჰეტეროფონიულ-ბურდონული და ბურდონული.

ჰეტეროფონია ახასიათებს ქსოვის, წმინდანთა სადიდებელ და საქორწინო სიმღერებს. მათ ახასიათებს მელოდიის ძირითადი კონტურის უმეტესწილად უნისონური შესრულება, სადაც წამყვანი ხმა უფრო განვითარებულია, ვიდრე – თანხლებისა. აქ ფინალისკენ, რომელიც, ამავე დროს, ტონალური ცენტრიცაა, ხდება ხმათა გადაჯვარედინება და იქმნება დიდი სეკუნდის ხმოვანება, რომელსაც მომღერლები საკმაო ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ.

ჰეტეროფონიულ-ბურდონული მღერა გავრცელებულია დასავლეთ, აღმოსავლეთ და ცენტრალურ სერბეთში. იგი ისმის მკის და სამუშაოსათვის მზადების სიმღერებში. აქ წამყვანი ხმა უფრო მეტადაა გამოკვეთილი, რადგანაც მას ბურდონი უწყევს თანხლებას. ფრაზის ბოლოსკენ ის ჩამოსცდება ხოლმე ამ ბურდონულ ხმას დიდი სეკუნდით და ამიტომაც „ქვევით წამყვანს“ ეძახიან. ამ შემთხვევაში, დამაბოლოებელი სეკუნდა უფრო დიდხანს გაიმღერება. ეს თავისებურება განსაკუთრებით სახასიათოა დასავლეთ სერბეთისათვის, ასევე – ცენტრალური სერბეთის ზოგიერთი მხარისათვის.



სერბული მრავალხმიანობის შემსრულებელი ქალთა და მამაკაცთა ანსამბლები

ბურდონული ორხმიანობა ფიქსირდება ე.წ. „სადამოს სიმღერებში“ სახელწოდებით „ნა გლას“ („მელოდიურ მოდელზე“), სადაც მელოდიას მხოლოდ წამყვანი, დამწყები ხმა ავითარებს, სხვა ხმა კი მოგვიანებით, დასასრულისკენ უერთდება. მკაფიოდ გამოხატული ბურდონული მრავალხმიანობა სერბეთში ორი სახისაა – დასავლეთით გავრცელებული, დინარული და აღმოსავლური – შოპური. მათ შორის ძირითადი განსხვავება ხმების გადაჯვარედინებაშია, რომელიც დინარულს ახასიათებს. გაგრძელებულ ხმოვანებას ამ ორ სტილში ასევე ჯაჭვური სუნთქვით ინარჩუნებენ.

ამ ძველ სიმღერათა ნიშანდობლივი თავისებურებაა „დაძახილი“ („calling out“), რაც გულისხმობს სიმღერის ბოლოს ხმის ჩამოცურებას გრძელ ხმოვანზე „ეეე“ ქალების მიერ, ხოლო მამაკაცებში – მოკლე შეძახილზე, იმავე, „ე“ ხმოვანზე.

მრავალხმიანი მღერის სხვა ტრადიციას ეწოდება „ნა ბას“ („ბანზე“). ზოგიერთი მოსაზრებით, იგი განვითარდა წინა საუკუნის შუა წლებში, მაგრამ სხვები ფიქრობენ, რომ იგი შეიძლება მომდინარეობდეს გუდასტვირის კვინტური ხმოვანებიდან და უფრო ძველი იყოს. ეს სტილი შედარებით ჰომოფონური და დიატონურია; სრულდება როგორც სამი, ასევე, ზოგჯერ, ათზე მეტი შემსრულებლის მიერ, თუმცა წამყვანი ხმა აქაც ერთია. ესაა ძირითადად ტერციებით მოძრავი ორხმიანობა, ოღონდ, დასასრულით კვინტაზე. ამ სიმღერებს არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ფუნქცია და შესრულების დრო და ადგილი; იმღერება მუშაობის დროსაც და საოჯახო თუ სოფლის დღესასწაულებზეც.

ზოგ შემთხვევაში, ქალთა მიერ შესრულებული სიმღერები „ბანზე“ ამჟღავნებენ ძველი სოფლური სიმღერის თვისებებსაც, როგორიცაა სეკუნდური ინტერვალი, ცვალებადი კილოური სტრუქტურა, არატემპერირებული წყობა და ჯაჭვური სუნთქვით გაგრძელებული ჟღერადობა. მსგავს სიმღერებს „ჰიბრიდულს“ უწოდებენ.

სერბეთის სხვადასხვა რეგიონში შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი „ბანზე“ სიმღერები, რომელთაც „ზუმბას“ („ჩაკვრა“, „მუშტის დაკვრა“, ასევე ინსტრუმენტული შესრულების მიმზადებელი სიტყვა) უწოდებენ. მათ ახასიათებთ სოლისტის მოკლე, იუმორისტული ფრაზები სხვა მომღერლების მოტორულად ნამღერ „ზუმბა, ზუმბას“ (ან „ზუმბე, ზუმბე“) ფონზე. აქ, ძირითადად, ქალაქური შემსრულებლობისათვის დამახასიათებელი, ტერციული პარალელიზმია.

ზოგადად, ძველ სერბულ სოფლურ სიმღერებს ახასიათებთ საკმაოდ მყარი მელოდიურ-რიტმული მოდულები, რომელზეც შეიძლება გაიმღერებოდეს სხვადასხვა ტექსტები. ძირითადი, სახასიათო თავისებურება მაინც სეკუნდური ხმოვანებაა, რაც აძლევს კიდეც სახელწოდებას ამ სტილს. დღესდღეობით მისი გამორჩეული შემსრულებლები არიან: ჯგუფი „ცრნუჩანკა“ (რუდნიკის მთიანი რეგიონიდან) და „რიბაშეკე“ (უჟიცეს რაიონიდან).

ელენა იოვანოვიჩი

ეთნომუსიკოლოგი

ერთი სიმღერის ისტორია

„ვიცბილ-მაცბილ“

„ვიცბილი-მაცბილ“ სვანების ერთ-ერთი საყვარელი სიმღერაა, რომელიც დღეს თითქმის ყველა ფოლკლორული ანსამბლის რეპერტუარშია და საკმაოდ პოპულარულია ქართულ და უცხოურ აუდიტორიაში. სვანების განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ სიმღერისადმი, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ მასში ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის თავისუფლების მოყვარე ხასიათი და ბატონობის წინააღმდეგ სვანების ბრძოლისა და გამარჯვების ამბავია გადმოცემული.

როგორც ცნობილია, სვანეთში, ოდითგანვე, ყველა თემს თავისი მახვში განაგებდა. შუასაუკუნეებში, როცა თემურ წყობილებას ბზარი შეეპარა და საქართველოში ფეოდალიზმის ხანა დაიწყო, სვანეთშიც გაჩნდნენ „პრივილეგირებული“ გვარები (რუჩეგიანები, დარჩელანები (მოგვიანებით, დადემქელიანები), გელოვანები, ლიბიანები), რომლებსაც ხშირად ჰქონდათ სრულიად სვანეთის მოსახლეობაზე გაბატონების მცდელობები. ამას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ე.წ. „ბალსზემოური“ სვანეთი. „ბალი“ ჰქვია ქედს, რომელიც მდებარეობს სოფლებს – ბეჩოსა და ლატალს შორის. ბეჩო და მის ქვემოთ მდებარე სოფლები ეკუთვნის „ბალსქვემოურ“ სვანეთს, სადაც ბატონობდნენ დადემქელიანები და ამიტომ მას „სადადემქელიანოსაც“ უწოდებდნენ; ლატალი და მის ზემოთ მდებარე სოფლები კი – „ბალსზემოურ“ სვანეთს ეკუთვნის და მას „უბატონო“ სვანეთი ერქვა; თუმცა, დადემქელიანებს არ ასვენებდათ ეს ამბავი და იმდენად აწუხებდნენ „ბალსზემოურ“ სვანებს, რომ ხალხმა გადაწყვიტა, მათთვის სამაგიერო მიეზღო.

ბატონების უსამართლო დამოკიდებულებით გამწარებული ლატალელი ძმები, ვიცბილ და მაცბილ კიბოლანები, რომლებიც სოფელმა წინამძღოლებად აირჩია, სამი წლით ტყეში გაიჭრნენ, სადაც ტყვია-წამლის საკმაოდ დიდი მარაგი მოაგროვეს. ასევე, მოიმარაგეს სურსათ-სანოვავე, ჩუმად აზიდეს სოფელ ლადრერის ბოლოს მდგარ კოშკში და თვითონაც იქ გამაგრდნენ. კოშკიდან ხელის გულივით მოჩანდა სოფელიც და მის ირგვლივ მდებარე სახნავი და სათიბი მიწებიც. ამ ტერიტორიაზე დღისით გამოჩენა ბატონების, მათი ოჯახის წევრებისა ან დამხმარეებისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. ძმებმა, ფაქტობრივად, მოსავლის გარეშე დატოვეს ბატონები. გადიოდა თვეები. დადემქელიანებს რამე უნდა ეღონათ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ და ასეთ ხერხს მიმართეს: ღამ-ღამობით ჩუმად კოშკის საძირკველს მიწას აცლიდნენ, მის მაგივრად კი ფიჭვის კუნძებს დებდნენ, რომლებიც კარგად დაიწვებოდა. ბოლოს, საძირკველს ცეცხლი წაუკიდეს და კუნძები რომ ფერფლად იქცა, კოშკმა ნელ-ნელა წაქცევა დაიწყო. ამბობენ, დიდი ბატონი სორთმან დადემქელიანი საკმაოდ მოშორებული კოშკის თავზე ასულა და ამ ამბით გახარებულს, ნიშნის მოგებით, ხარხარი დაუწყია. ამ დროს ერთ-ერთ ძმას კოშკიდან მისთვის თოფი დაუმიზნებია

და ერთი ტყვია თავში უსვრია, მეორეთი კი გულის ფიცარი შეუზღრევია.

კოშკი წაიქცა, ძმები დაიღუპნენ, მაგრამ ბატონზე შურისძიება მაინც მოასწრეს და დადემქელიანებს თავისუფალი ხალხის ნება დაანახეს. ამის შემდეგ ხალხმა თავგანწირული ძმები თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებად აღიარა.

სწორედ ეს ამბავი დაედო საფუძვლად სიმღერას „ვიცბილ-მაცბილ“, კერძოდ, ესაა ლექსი „ორი ძმა კიბოლანი“. ჩვენ ხელთ გვაქვს ამ ლექსის ორი ვარიანტი. პირველი ჩაწერილია 1923 წელს, აკაკი შანიძის მიერ, ბეჩოში; მეორე კი – 1927 წელს, ვარლამ თოფურიას მიერ, სოფელ ისკარში (ეცერის თემი), სონია შერვაშიძისაგან. ორივე ვარიანტი გამოყენებულია წიგნში „სვანური პოეზია“ (ა. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჯიანი. თბილისი, 1939). ლექსი საკმაოდ ვრცელია, თუმცა, სიმღერაში გამოყენებულია მისი მხოლოდ მცირე ფრაგმენტი. რაც შეეხება სიმღერას, ისიც რამდენიმე ვარიანტის სახითაა გავრცელებული სვანეთში, თუმცა, ყველა მათგანი მამაკაცების ერთპირული გუნდის მიერ, ჭუნირ-ჩანგის თანხლებით სრულდება. არსებობს ცნობები ამ სიმღერის საფერხულო ვარიანტის შესახებ, თუმცა ჩვენამდე მას ამ ფორმით არ მოუღწევია.

სიმღერაში გამოყენებული, ამ გმირულ-ეპიკური ბალადის ფრაგმენტის მოკლე შინაარსი ასეთია: „საბრალო დოლელებო, ეცერლების ნარჩენების მჭამელებო, / ასე ეცერლებს ვერ გავუძლებთ, ბავშვებს აკვნებიანად გვართმევენ... / შეკრებილან ბეჩოს ლეჩყანში, აურჩევიათ ორი ვაჟკაცი, / ორი ძმა, სახელად ვიცბილი და მაცბილი. / სამი წელი ტყეში დაჰყავით, ტყვია-წამლის მზადებაში, / მეოთხე წელს დაბრუნებულხართ ლადრერის ბოლოს მდგარ კოშკში...“

განმარტებები:

ლადრერი – ბალსქვემო სვანეთის სოფელი.

ბეჩო – ბალსქვემო სვანეთის ერთ-ერთი თემი.

დოლი – ბალსქვემო სვანეთის სოფელი.

ეცერი – ბალსქვემო სვანეთის ერთ-ერთი თემი.

ლეჩყანი – ბალსქვემო სვანეთის სოფელი.

მასალა დამუშავებულია მაკა ხარბიანის მიერ, წიგნებზე „სვანურ პოეზია“ (თბილისი, 1939), „ლადლეო“ (თბილისი, 1971) და ვახტანგ ფილფანის გადმოცემაზე დაყრდნობით.

ვიცბილ-მაცბილ Vitsbil-Matsbil

ჭუნირი
Chuniri

ჩანგი
Changi

რა შოვ და
ra shov da

რა შო ვ და,
ra sho v da,

სა - ბრა - ლ დო - ლა - რ,
sa - bra - l do - la - r,

რა შოვ და
ra shov da

რა შო ვ და,
ra sho v da,

სა - ბრა - ლ დო - ლა - რ,
sa - bra - l do - la - r,

*

* ბანი იმეორებს ტექსტს ზედა ხმებთან ერთად.
The bass part's text is identical to that of the upper voices.

ლეჟ - რი დო - ლა - რ, რა შოვ და, ვო რე რო რა შო ვ და,
 lezh - ri do - la - r, ra shov da, vo re ro ra sho v da,

ტეფ - ნა - მ - სა - დე ე - ცე - რა - ლეშ, რა შო ვ და,
 t'ep - na - m - sa - de e - tse - ra - lesh, ra sho v da,

1; 2; 3; 4; 5; 6.					7.
ვო. vo.					ვო. vo.
ვო. vo.					ვო. vo.

1. საბრალ დოლარ, ლეჟრი დოლარ,
ტეფნამსადე ეცერალეშ.
2. იამჟი ეცრალს დეშ ლოგჭენიდ,
ბოფშარს ჰაკენარშ გვეღეშგალეხ.
3. ჩუ ლუზვერ ლიხ ბეჩვი ლეჩყან,
ქავ ხოთიშახ დოორი მაარე.
4. დოორი მაარე, დოორი ლახვბა,
ჟახად ხეჟხანს ვიცბილმაცბილ.
5. სეემი ზაილდ ცხეკას აჯადხ,
ჟაგიშ ი ფინთხიშ ლამარას.
6. მეშტხვამ ზავჟინ სგავ მეხდელხიშდ,
ლადრერ ჰოკერ მურყვამთეჟი.
7. ვოი საბრალე ვიცბილმაცბილ,
ხილზიგალედ ლადრერ ჰოკერ.

1. sabral dolar, lezhri dolar,
t'epnamsade etseralesh.
2. iamzhi etsrals desh logch'enid,
bopshars hak'vnarsh gvegheshgalekh.
3. chu luzver likh bechvi lechqan,
kav khotishakh ioori maare.
4. ioori maare, ioori lakhvba,
zhakhad khezhkhankh vitsbilmatsbil.
5. seemi zaild tshek'as ajadkh,
zhagish i pintkhish lamaras.
6. meshtkhvam zavzhin sgav mekhdelkhishd,
ladrer hok'er murqvamtezhi.
7. voi sabrale vitsbilmatsbil,
khilzigaled ladrer hok'er.

რედაქტორი:

მაკა ხარბიანი

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ტმკსც-ის სპეციალისტი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2023

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2024 წლის ივნისში